ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## სკანდალი თბილისის საკრებულოში

გვ.2



შალვა ოგბაიძემ ენდიაის წარმომადგენლები დააწიოკა

ხუთშაბათი, 29 ოქტომბერი, 2015 | №254 (6874) | ფასი: 30 თეთრი

# ჯონდი ბაღათურია: „მარგველაშვილი საქმეებს ქურდული წესით არჩევს“



გვ.3

## ომარ ნიშნიანიძე: „სანამ ნაცებს უკან არ შევაბრუნებთ, ქვეყანას არაფერი ეშველება“

გვ.2



## თორნიკე შარაშენიძე: „ხელისუფლების ინტერესებშია ტელევიზია, სადაც ხალხი ორთქლს გამოუშვებს“

გვ.4



## ვალერი ხაბურძანია: „ქართული ოცნება“ ნაციონალებს შეუშინდა“



„ეს მათი შეცდომა იყო“ გვ.3

გვ.6



## გიორგი სამანიშვილი: „ყურძენზე სუბსიდია მალე აღარ იქნება“

ISSN 1987-9385



გვ.5

## ქართველების მოთხოვნით სომხებმა აფხაზები საერთაშორისო ტურნირიდან გამოყარეს

# სკანდალი თბილისის საკრებულოში





## შალვა ოგბაიძემ ენდიაის წარმომადგენლები დააწიოკა

შორენა მარსაგიშვილი

ენდიაის კვლევებს დედაქალაქის საკრებულოში დიდი ხმაური მოჰყვა. ენდიაის თბილისის წარმომადგენლობამ საკრებულოს დეპუტატებთან შეხვედრა მოითხოვა. შეხვედრა სკანდალების ფონზე წარიმართა და საბოლოო ჯამში ჩაიშალა.

ჩაშლის მიზეზი დეპუტატი შალვა ოგბაიძე გახდა. მან ორგანიზაციის თბილისის ბიუროს ხელმძღვანელი სარა თორნტონი სიცრუეში დაადანაშაულა, თავად ენდიაის კი მატყუარა ორგანიზაცია უწოდა.

მისი განცხადებით, ენდიაის თბილისის ფილიალის საქმიანობა ბევრ კითხვას ბადებს.

ოგბაიძემ ენდიაის კვლევის შედეგებს უნდობლობა გამოუცხადა, ხოლო სარა თორნტონს სახალხო გამოკითხვის შედეგები გადასცა. როგორც დეპუტატმა განმარტა, ეს გამოკითხვა ენდიაის კვლევებთან დაკავშირებით ჩატარდა.

საქმეში გასარკვევად „ახალი თაობა“ შალვა ოგბაიძეს დაუკავშირდა.

***– ბატონო შალვა, მართალია, რომ საკრებულოში მოსულ ენდიაის წარმომადგენლებს ეჩხუბეთ?***

– ეს არ ყოფილა ჩხუბი. ეს იყო ჩემი რეაქცია მათ ვირეშმაკობაზე. მე ამ მატყუარა ორგანიზაციის მიმართ ჩემი პოზიცია დავაფიქსირე.

***– პოლიტიკოსის მხრიდან ასეთი რეაქცია გამართლებულია?***

– საერთაშორისო ორგანიზაციის მხრიდან ასეთი ტყუილები გამართლებულია? მათაც ვუთხარი და თქვენთანაც გავიმეორებ, რომ ენდიაის თბილისის ფილიალი არცხვენს ჩვენი ნომერ პირველი მეგობრის, ამერიკის სახელს.

ენდიაის თბილისის ფილიალის ყოფილი ხელმძღვანელი საერთაშორისო მაწანწალა, ლუის ნავარო 2012 წლის არჩევნების წინ არწმუნებდა საზოგადოებას, რომ საქართველოში, ნაციონალური მოძრაობის გარდა, პარტია არა არსებობდა.

ეს ამომრჩეველზე მანიპულირების და ზომბირების ხრიკია. ასეთი მეთოდი მათ უკვე მოუძველდათ. ამ ტყუილებისთვის მათ ბოდიში არ მოუხდიათ. ძალიან მაინტერესებს იმის გარკვევაც, ვინ უკვეთავს მათ ამ კვლევებს. ენდიაის თბილისის ფილიალი ნაცმოძრაობის დანამატი იყო და დანამატადვე რჩება. კვლევებსაც მათი დაკვეთით ატარებს.

***– ენდიაი ნაცმოძრაობის დანამატი რატომ არის?***

– ჰოი საოცრებავ და მათი კვლევები მხოლოდ ნაცმოძრაობას მოსწონს.

***– მართალია, რომ საკრებულოში გამართულ შეხვედრაზე ორგანიზაციის წარმომადგენლებს არამკითხე მოამბეები უწოდეთ?***

– დიახ. ამის გაკეთება მე ჩემმა ამომრჩეველმა მთხოვა. მათ მთხოვეს, კვლევების ავტორებისთვის გადამეცა ერთი ქართული გამოთქმა: „არამკითხე მოამბეო, მიტყიპე და მიაგდეო“.

***– სახალხო გამოკითხვის შედეგებიც წარგიდგენიათ ენდიაისთვის და რა შედეგები დაიდო ამ გამოკითხვით?***

– არასამთავრობო ორგანიზაცია ენდიაის საქართველოს ფილიალზე ერთგვარი სახალხო გამოკითხვის მონაწილე 82% ამბობს, რომ ეს არის მატყუარა ორგანიზაცია, 13% თვლის, რომ ეს არის ნახევრად მატყუარა ორგანიზაცია და მხოლოდ 2% ამბობს, რომ მათი პირიდან ჭეშმარიტება ღაღადებს.

***– რა რეაქცია ჰქონდათ მათ სახალხო გამოკითხვის შედეგებზე?***

– ფილიალის ხელმძღვანელმა გვითხრა, რომ მას მნიშვნელოვანი შეხვედრა ჰქონდა და გვტოვებდა. ეს, ჩემი აზრით, საკრებულოს უპატივცემულობა იყო.

მკითხველს მინდა შევახსენო, რომ შეხვედრა მათი ინიციატივით გაიმართა. მათთვის რომ მოგვესმინა, ბიუჯეტის ცვლილებების განხილვა გადავდეთ და საკრებულოს მთავარი დარბაზი დავუთმეთ.

სარა თორნტონმა თავისივე დათქმულ დროზე გვითხრა, რომ სხვა შეხვედრა ჰქონდა და ტოვებდა ამ შეხვედრას. ეს იყო შეურაცხყოფა. ამის გამო სხდომა მასზე წინ პროტესტის ნიშნად დავტოვე.

***– სხვა დეპუტატები როგორ მოიქცნენ?***

– „ქართული ოცნების“ მთელმა შემადგენლობამ დატოვა სხდომა. იქ მარტო ნაციონალები დარჩნენ. ან რა უბედურებაა, ამ კვლევებს რომ დაატარებენ და ძალათი ატენიან ხალხს. არავინ მაგათ არ ენდობა და ეგენი კიდევ შეხვედრებს ითხოვენ. ამიტომაც ვუწოდე მათ არამკითხეები.

არაფრით მიპასუხეს, ვინ დაუკვეთა პარტიების რეიტინგების გარკვევა. პოლიტპარტიების რეიტინგი იზომება არჩევნების შედეგებით და არა ასეთი კვლევებით. სარა თორნტონს ვკითხე, თქვენ როგორ ფიქრობთ, ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციას ნიუ იორკის მერიაში ვინმე მისცემს უფლებას, ჩაატაროს პრეზენტაცია განწყობების და რეიტინგების შესახებ არჩევნების წინ? არაფერი მიპასუხა. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ მათი გამოკითხვა ხშირ შემთხვევაში არაზუსტია და ის ამომრჩევლის ზომბირების ერთ-ერთი ფორმაა.

***– ენდიაი სხვა დროსაც ატარებდა კვლევებს და რატომ მაინცდამაინც ახლა გქონდათ ასეთი მკვეთრი რეაქცია? თქვენს პარტიას, დემოკრატიულ მოძრაობას 3% რომ დაუწერეს?***

– რეაქცია ამაზეც უნდა მქონოდა. წარმოუდგენელია, ჩვენც 3% გვქონდეს და იმ პარტიებსაც, ვისაც პულსიც კი არ ესინჯება. სხვა დროს მე ამ ორგანიზაციის წარმომადგენლებთან შეხვედრა არ მქონია, თორემ მაშინაც ვეტყოდი სათქმელს.

ენდიაის არ ჰქონია კითხვა 2007 წლის 7 ნოემბრის, 2009 წლის 6 მაისის, 15 ივლისის, 2011 წლის 26 მაისის მოვლენების შემდეგ, არ გამოუთქვამს სურვილი, გამოეკითხა მოსახლეობის აზრი თუნდაც ამ დღეებში გავრცელებულ შემზარავ კადრებზე.

არასოდეს მომისმენია მათი მოსაზრება და მაინტერესებს, თუ როგორ მოიქცეოდა რიგითი ამერიკელი, თუ მის შვილებს სასტიკად აწამებდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მშობლებს განსხვავებული პოლიტიკური ხედვა აქვთ? ან რას იტყოდა რიგითი ამერიკელი, თუ მას ქონებას წაართმევდნენ ან დაუყადაღებდნენ, მხოლოდ თავისუფლად გამოთქმული აზრის გამო?!

ენდიაი ასეთ გამოკითხვებს არასდროს ატარებს და ხალხის ზომბირებას ცდილობს. ამიტომაც მქონდა ასეთი მკვეთრი რეაქცია.

# ომარ ნიშნიანიძე: „სანამ ნაცებს უკან არ შევაბრუნებთ, ქვეყანას არაფერი ეშველება“

შორენა მარსაგიშვილი



უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ყოფილი ხელისუფლების გასამართლებას ითხოვენ და ამტკიცებენ, რომ საქართველოს სამოქალაქო დაპირისპირება არ ემუქრება.

დამაიმედებელი პროგნოზი უმრავლესობის დეპუტატმა ნუკრი ქანთარიამ გააკეთა. მისი თქმით, დღეს ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირების სიმპტომი არ შეინიშნება.

– ამ ბოლო დროს მოდაში შემოვიდა ცნება სამოქალაქო დაპირისპირება. პირველად ეს ტერმინი პარლამენტში უმცირესობის მხრიდან გაისმა, შემდეგ ტელევიზიებმა აიტაცეს და ბოლოს პრეზიდენტის სასახლიდან მოგვესმა, რომ არის სამოქალაქო დაპირისპირების ნიშნები.

მინდა ყველას გავახსენო, რომ ჩვენმა ქვეყანამ ეს ტრაგიკული ავადმყოფობა გადაიტანა და კარგად ვიცით, რა ნიშნები აქვს სამოქალაქო დაპირისპირებას, როგორია მისი სიმპტომები და როგორია მისი განვითარება. ასე რომ, დღეს არავითარი ამის ნიშანწყალი არ შეინიშნება, – აღნიშნა დეპუტატმა.

ქანთარია სამოქალაქო დაპირისპირების ნიშნებს ვერ ხედავს, სამაგიეროდ კარგად ამჩნევს, რომ მოსახლეობა გაბრაზებულია. მათ სიბრაზეს დეპუტატი გაგებით ეკიდება.

– საზოგადოება სამართლიანად არის გაბრაზებული დაუსჯელ ნაციონალურ მოძრაობაზე, ხალხი განსაკუთრებით იმ საშინელი კადრების გავრცელების შემდეგ გაბრაზდა, – განაცხადა ქანთარიამ.

აქედან გამომდინარე, მას არ უკვირს, ხალხი ნაცმოძრაობის ოფისებს ქვებს რომ ესვრის და ღებავს. ის დარწმუნებულია, რომ ხალხი ნაციონალების მისამართით ყველაზე დიდ იარაღს გამოიყენებს.

– საღებავისა და ქვის გარდა, ყველაზე მკვეთრი იარაღი არის ბიულეტენი და ეს დროც აუცილებლად მოვა. ყველაფერი დანარჩენი მართლმსაჯულების საქმეა, რომლის მიმართ საზოგადოებას სერიოზული უკმარისობის განცდა აქვს, – აღნიშნა ნუკრი ქანთარიამ.

მართალია ქანთარიამ სამოქალაქო დაპირისპირების შესაძლებლობა გამორიცხა, მაგრამ იქვე თქვა, რომ ბოკერია და სააკაშვილი ერთმანეთს კარგ საქმეზე არ შეხვდებოდნენ.

– ვერავინ დამაჯერებს, რომ მიხეილ სააკაშვილი და გიგა ბოკერია დამქაშებთან შეხვედრის დროს ერთმანეთს ლექსებს უკითხავენ და ჩიტუნებზე საუბრობენ. დარწმუნებული ვარ, რომ მათ ვიწრო წრეში ხელისუფლების ხელში ჩაგდების გეგმა ყალიბდება, – ამბობს დეპუტატი.

მას გონივრული ეჭვი აქვს, რომ ნაციონალები რეპეტიციებსაც გადიან და არჩევნების წინ უარყოფითი ფონის შექმნასაც შეეცდებიან.

– დარწმუნებული ვარ, რომ მათ თავში გარკვეული გეგმა ყალიბდება, რადგან იციან, რომ ლეგიტიმური გზით ხელისუფლებასთან მიახლოებასაც ვერ მოახერხებენ. ამიტომ ცდილობენ, შექმნან ფონი და ილუზია, თითქოს 2016 წლის არჩევნები სამართლიანი არ იქნება, უნდათ შინ და გარეთ ყველა მის არალეგიტიმურობაში დაარწმუნონ, – აცხადებს ქანთარია.

დეპუტატი არ გამორიცხავს, რომ ყოფილი ხელისუფლება მომხრეების მოსაძებნად ყველა ხერხს მიმართავს.

– ალბათ შეეცდებიან, მომხრეები სახელისუფლებო სტრუქტურებში იპოვონ. ზოგი კომპრომატით, ზოგი მოსყიდვით და 2016 წლისათვის დაახლოებით 10-11 ათასი კაცის მოგროვებით არეულობის იმიტაცია შექმნან, რაც არ გამოუვათ, – აღნიშნა უმრავლესობის დეპუტატმა.

მასზე უფრო მწვავე გამოსვლა ჰქონდა ომარ ნიშნიანიძეს.

ის ნაციონალების მიმართ ტკბილმოუბარი არასდროს ყოფილა, მაგრამ გუშინ, 28 ოქტომბერს, მან ყოველგვარი რეკორდი მოხსნა.

მან ნაციონალებს ერთი საშოდან გამომძვრალი უკუღმა დაბადებულები უწოდა და დაასკვნა, სანამ უკან არ შევაბრუნებთ, არაფერი გვეშველებაო.

მან ხელისუფლებას უნიათობის გამოც უსაყვედურა. მისი აზრით, ხელისუფლებამ ნაციონალებთან თავსმოხვეული კოჰაბიტაციით ქვეყანას ცუდი საქმე გაუკეთა.

დეპუტატის თქმით, ნაცმოძრაობა, რომელიც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის დროს თითქმის მკვდარი იყო, დღეს აქეთ იკბინება.

**ომარ ნიშნიანიძე:**

– დიახ, ამ უკუღმა დაბადებულებს, ყველა ერთი საშოდან რომ არის გამომძვრალი, სანამ უკან არ შევაბრუნებთ, ამ ქვეყანას არაფერი ეშველება. იმ ავადსახსენებელი, თავსმოხვეული კოჰაბიტაციით ქვეყანასა და ხალხს ცუდი სამსახური გავუწიეთ. და როგორც ერთი ჩინური ანდაზა ამბობს, ჩვენ უბეში ჩავისვით გაყინული გველი, რომელიც გავალღვეთ და ახლა შხამიანი გველაძუები აქეთ იკბინებიან, – განაცხადა ომარ ნიშნიანიძემ.

მისივე განმარტებით, ხელისუფლება მართლაც უნიათოა, რომ ისინი სარზე არ ჩამოაცვა.

– დღეს ამ თვითმარქვია გველაძუებს აჩემებული აქვთ მესიჯი, რომ ჩვენ ვართ უნიათოები. ამ მხრივ ისინი ნაწილობრივ შეიძლება მართლაც მართალნი არიან, რადგან ჩვენ არ დავემგვანეთ ამ უმგვანოებს და სარზე არ ჩამოვაცვით ისინი. ხოლო თუ უფრო სერიოზულად მივუდგებით საკითხს, სამწუხაროდ, ჩვენ მართლაც გამოვიჩინეთ უნიათობა, რომ ეს ანტიქართული, ფაშისტური რეჟიმი არ გავასამართლეთ და არ ავკრძალეთ მათ მიერ ჩადენილი სისტემური დანაშაულებისთვის, რასაც თუნდაც სამეგრელოს სამალავებში აღმოჩენილი კადრები ადასტურებს, – განაცხადა ომარ ნიშნიანიძემ.

დეპუტატის თქმით, სასწრაფოდ უნდა მოხდეს ყოფილი ხელისუფლების ბოროტი ზრახვების გამოაშკარავება. მისი აზრით, ეს ის საქმეა, რომლის გადადება არ შეიძლება.

**ომარ ნიშნიანიძე:**

– ჩვენ კი არ გადავეკიდეთ თვითმარქვია ნაცებს, ისინი გადაეკიდნენ ხალხს და 11 წელია, სისხლს წოვენ და სიცოცხლეს უმწარებენ. უფრო უტიფარი, უფრო ურცხვი, უფრო ანტიქართული ძალა, როგორც თვითგამოცხადებული ნაციონალური მოძრაობაა, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში არ არსებულა.

კოჰაბიტაციით გულანთებულები ვირთხებივით მოძვრებიან უკან და ყველა სახელისუფლებო ხვრელში ძვრებიან, რომ მერე შიგნიდან გამოხრან და გამოჭამონ ხელისუფლებაც და ქვეყანაც მთლიანად. მართლაც საკმარისია, აივსო მოთმინების ფიალა – გასაკეთებელი დროზე უნდა გაკეთდეს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ჯონდი ბაღათურია: „მარგველაშვილი საქმეებს ქურდული წესით არჩევს“

ნონა ცაბაძე

**არის თუ არა საფრთხე, პროცესები კონსტიტუციურ ჩარჩოს გასცდეს? რატომ გააქტიურდა პრეზიდენტი და რატომ ხედავს დესტაბილიზაციის ნიშნებს ქვეყანაში? ვის ინტერესებს ემსახურება მისი განცხადებები?**

**„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია მიიჩნევს, რომ პრეზიდენტმა აშკარად გადააჭარბა საკუთარ შეფასებებში.**

– მან გადააჭარბა ყველა მიმართულებით, – ამბობს ჯონდი ბაღათურია.

***– რას გულისხმობთ?***

– პირველ რიგში, პრეზიდენტს არ აქვს უფლება, ჩაერიოს სასამართლო საქმიანობაში და მიუთითოს მოსამართლეს, არ მიიღოს ასეთი ან ისეთი გადაწყვეტილება. ამით მან კონსტიტუცია დაარღვია. მით უმეტეს, საკითხი, რომელიც დღეს სასამართლოს დარბაზში იხილება, არის ქონებრივი დავა. დავა მიმდინარეობს მიხეილ სააკაშვილსა და ქიბარ ხალვაშს შორის.

ოპოზიციონერის განცხადებით, 2006 წლიდან რუსთავი 2 არის მიხეილ სააკაშვილის საკუთრება, რომელიც მან ძალადობრივი გზით მიითვისა.

***– პრეზიდენტმა უბრალოდ სამართლიანობისკენ მოუწოდა.***

– როდესაც პრეზიდენტი ასეთ განცხადებებს აკეთებს, ერთი მხრივ, სამართლებრივად უშვებს შეცდომას და არღვევს კანონს და კონსტიტუციას. მას არა აქვს უფლება მოსამართლისთვის მითითებების მიცემის! ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით, ის იცავს სააკაშვილის ქონებას.

ბაღათურიას თქმით, როდესაც პრეზიდენტმა განაცხადა, რომ კონსტიტუციური ჩარჩოებიდან გადის პროცესი და შესაძლოა ესკალაციას ჰქონდეს ადგილი, ოპოზიციონერი ამ ნაწილში ეთანხმება პრეზიდენტს, თუმცა იქვე განმარტავს, რომ ამის ხელშემწყობი პრეზიდენტი თავად აღმოჩნდა.

***– ამით რისი თქმა გსურთ, რომ პრეზიდენტი უწყობს ხელს დესტაბილიზაციას ქვეყანაში? რატომ?***

– იმიტომ, რომ კანონის ჩარჩოებიდან გაყვანას ცდილობს სააკაშვილი და მისი მხარე. დააკვირდით ყოფილ გენპროკურორს, ნიკა გვარამიას, ის ცდილობს, რომ სასამართლო დარბაზიდან ქუჩაში გადაიტანოს პროცესი. ხოლო პრეზიდენტმა ამ ყველაფერს ხელი შეუწყო.

***– ნაციონალების წისქვილზე დაასხა წყალი?***

– ამ სიტუაციაში პრეზიდენტი აღმოჩნდა სააკაშვილის მხარეს! იმ კაცის და იმ გუნდის მხარეს, ვისაც მილიარდები აქვს მითვისებული ძარცვის და ძალადობის გზით! მეორე მხრივ, დღეს სააკაშვილს არ აწყობს ამ საქმეების სასამართლო დარბაზში განხილვა. ის ცდილობს, კანონის ჩარჩოებიდან გავიდეს და ამ ყველაფერმა ქუჩაში გადაინაცვლოს. მათი სურვილია, არეულობა მოაწყონ.

„ქართული დასის“ ლიდერი თვლის, რომ პრეზიდენტმა სწორედ აქეთკენ მოუწოდა მოსამართლეს, მან ასევე დაიწყო პარტიების დარაზმვა და გაერთიანება სააკაშვილის ნაქურდალი ქონების დასაცავად. ოპოზიციონერი მიიჩნევს, რომ ეს მარგველაშვილის უმნიშვნელოვანესი შეცდომა იყო.

***– ეს შეცდომა იყო თუ შეგნებული ნაბიჯი?***

– ეს პრეზიდენტს უნდა ჰკითხოთ. მთავარია, რომ ეს იყო შეცდომა, ეს მიზანმიმართულად იყო დაშვებული თუ შემთხვევით მოუვიდა, არ ვიცი. მე მინდა ვიფიქრო, რომ ეს იყო შეცდომა და პრეზიდენტი ამ შეცდომაში შეიყვანეს მისმა ვაიმრჩევლებმა.

ოპოზიციონერის თქმით, პრეზიდენტი უნდ იყოს კონსტიტუციის და კანონის დაცვის გარანტი, რაც უხეშად თვითონვე დაარღვია.

***– დღეს პრეზიდენტი, სამწუხაროდ, აღმოჩნდა მხარე. ის მხარე, რომელიც პრეზიდენტმა დაიკავა, არის მიხეილ სააკაშვილი. კაცი, რომელიც უმძიმეს დანაშაულებებშია ბრალდებული, – აცხადებს ბაღათურია.***

რატომ იცავს პრეზიდენტი ასეთი გააფთრებით სააკაშვილის ნაქურდალ ქონებას? – კითხულობს ოპოზიციონერი და გვირჩევს, ამ კითხვით პრეზიდენტს და მის ვაიმრჩევლებს მივმართოთ, ვინც მას ამ განცხადების გაკეთება ურჩია.

– ამ შეცდომამ ახალი შეცდომები შვა, ამის შემდეგ პრეზიდენტი საერთოდ გავიდა სივრციდან. ამის შემდეგ პრეზიდენტმა უკვე დაიწყო საქმის გარჩევები და შეხვდა ქიბარ ხალვაშს. ამან მე ძალიან მომაგონა ქურდული წესით საქმის გარჩევა, – ამბობს ჯონდი ბაღათურია.

***– ქურდული წესით საქმის გარჩევა პრეზიდენტთან რაღა შუაშია?***

– პრეზიდენტმა მიაღწია რას? დავა, რომელიც სააკაშვილსა და ხალვაშს შორის სასამართლოში მიმდინარეობდა, გამოიტანა სასამართლო დარბაზიდან და გადმოანაცვლა თავის კაბინეტში. ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა აქვს, საქმეს ქურდები გაარჩევენ, პრეზიდენტი თუ პარლამენტის წევრები? პირდაპირი გაგებითაც არ გამოვრიცხავ, რომ ქურდები ჩაერიონ ამ საქმის გარჩევაში. ბოლო ბოლო, უფრო მეტი გამოცდილება აქვთ საქმის გარჩევის, ვიდრე მარგველაშვილს. მით უმეტეს, ოდესაში მიშას თავისუფლად შეუძლია, ერთი-ორი ავტორიტეტი გამოძებნოს. აქამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩა!

***– ქურდული გაგებით არჩევს პრეზიდენტი საქმეებს?***

– მე იმის თქმა მინდა, რომ სამართლებრივი დავა იხილება სასამართლოს დარბაზში, ხოლო თუ მას არჩევენ ჩინოვნიკები, ეს უკვე ქურდულ გარჩევას ემსგავსება! რეალურად აღარაფრით განსხვავდება ქურდული გარჩევისგან. სად წერია, რომელ კანონში, რომ ქონებრივი დავა განიხილოს პრეზიდენტმა?!

ბაღათურიას განცხადებით, მარგველაშვილი ჯერ შეხვდა ნაციონალების ბანდას, მერე აიძულა მოსამართლე, რომ გადაედო პროცესები და დაიწყო ეს შეხვედრები.

***– თქვენ ხალვაში ახსენეთ და მან თავად გამოთქვა სურვილი პრეზიდენტთან შეხვედრის.***

– ეს პრეზიდენტმა აიძულა! როდესაც ხალვაშმა დაინახა, რომ პროცესი სასამართლო დარბაზიდან გამოვიდა და უკვე პრეზიდენტი და სააკაშვილის სატელიტი პარტიები წყვეტდნენ ყველაფერს, იძულებული გახდა, მისულიყო პრეზიდენტთან შეხვედრაზე და უკვე მას უხსნიდა თავის სიმართლეს. აბა ამას სხვა რა ჰქვია, თუ არა საქმის ქურდული გარჩევა?! ამას მარგველაშვილისგან არ ველოდი!

ბაღათურია ურჩევს მარგველაშვილს, სასწრაფოდ გამოასწოროს შეცდომა. პირველ რიგში, გაემიჯნოს სააკაშვილს და მის ბანდას და გაემიჯნოს სასამართლო დარბაზიდან პროცესის ქუჩაში გამოტანას.

***– პრეზიდენტმა ყველა ოპოზიციური პარტია მიიწვია, თქვენ რატომ არ მიხვედით?***

– არ მივედი სწორედ ამ მიზეზების გამო: პრეზიდენტმა გააკეთა არაკონსტიტუციური განცხადება და ის ცდილობდა, პოლიტიკური და სამოქალაქო სექტორი დაერაზმა სააკაშვილის



ქონების დასაცავად.

იმ პარტიებთან ერთად, რომლებიც პრეზიდენტთან შეიკრიბა, მხოლოდ ორი პარტიის გამოკლებით, მე ქვეყნის მომავალს ვერ ვხედავ! ისინი ყველანი სააკაშვილის სატელიტები არიან! ბოლო პერიოდში ივანიშვილს იშვიათად ვეთანხმები, მაგრამ ამჯერად უნდა დავეთანხმო, ესენი სწორედ რომ სააკაშვილის სატელიტები არიან.

ბაღათურიას თქმით, მარგველაშვილს მრჩევლები წყალს უმღვრევენ და ამას ყურადღება აუცილებლად უნდა მიაქციოს.

***– ხშირად ახსენებთ მრჩევლებს და ვის გულისხმობთ? ფიქრია ჩიხრაძეს?***

– ყველას. გადახედეთ ერთი, რა სახეებია. ძველი, დაობებული სახეები. გვარებს აღარ დავასახელებ და ზოგიერთ მათგანს ქვეყნის დანგრევაში დიდი მონაწილეობა აქვს მიღებული.

პრეზიდენტი ახალი სახეა პოლიტიკაში. მას მომავალი წინ აქვს და რატომ უკავშირებს თავის მომავალს ამ წარსულს?!

# ვალერი ხაბურძანია: „ქართული ოცნება“ ნაციონალებს შეუშინდა“

შორენა კოწოწაშვილი

**არის თუ არა ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზე, რა შეცდომები დაუშვა ხელისუფლებამ და რომელი პოლიტიკური ძალები შეიძლება იდგნენ უკრაინულ ვიკილიქსით გასული ციხის კადრების უკან ნაციონალებთან ერთად? –**

**ამ საკითხებზე უშიშროების ყოფილი მინისტრი ვალერი ხაბურძანია საუბრობს.**

***– ბატონო ვალერი, ფაქტია, საარჩევნო წლის მოახლოებასთან ერთად, ქვეყანაში საკმაოდ რთული და ხმაურიანი პროცესები დაიწყო. როგორ შეაფასებდით ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას და რამდენად არის დესტაბილიზაციის საფრთხე, რაზეც გარკვეული პოლიტიკოსები მიანიშნებენ?***

– საარჩევნო წელი ახალი წლის შემდეგ დადგება, მაგრამ დაძაბულობა უკვე იგრძნობა. ქვეყანაში არ არის სტაბილური სიტუაცია, თუმცა სახეზე დესტაბილიზაციაც არ გვაქვს. ქვეყანა ზღვარზე იმყოფება, მაგრამ, ვფიქრობ, პროცესები არჩევნებამდე მივა. აი, რა იქნება არჩევნების შემდეგ, ეს ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, რა შედეგები დადგება (ან მოგვაწოდებენ) არჩევნების შემდეგ.

***– რითი ახსნიდით იმ ყველაფერს, რაც ქვეყანაში ხდება და რამდენად არის ამის მიზეზი მმართველი პოლიტიკური ძალის შეცდომები?***

– მმართველი პოლიტიკური ძალის შეცდომა იყო, როდესაც შანტაჟს დაექვემდებარა, შეუშინდა ნაციონალურ მოძრაობას და მის მხარდამჭერ დასავლეთის პოლიტიკურ ძალებს. წინასაარჩევნოდ კი ეს შეცდომები იმატებს და არ გამოვრიცხავ, რომ დანაშაულშიც გადაიზარდოს.

მე ხშირად ვაკრიტიკებ პროკურატურას და ვფიქრობ, სამართლიანადაც, ამ სისტემამ არა თუ ვერ, არამედ არ შეძლო აშკარა და თვალხილული დანაშაულების ელემენტარული სამართლებრივი ფიქსაცია, თუმცა სისტემისგან, რომელიც თვითონ იყო დანაშაულებრივი სისტემის ამსრულებელი და ორგანიზატორიც კი, სხვა არც იყო მოსალოდნელი.

ვფიქრობ, პროკურატურის სისტემის სრული რეფორმაცია ჯერ კი-




დევ არაა გვიან და საშურიცაა, წინ რთული არჩევნებია.

***– ხელისუფლება აცხადებს, რომ დესტაბილიზაცია არავის გამოუვა, რომ ამის აღსაკვეთად სახელმწიფო მზადაა. მართლაც სამოქალაქო დაპირისპირების სუნი ტრიალებს ქვეყანაში?***

– სუნი ტრიალებს, მაგრამ აქამდე საქმე ვერ მივა, დესტაბილიზაციის ფაქტორს – ნაციონალურ მოძრაობას – ამის სათანადო სახალხო და საამომრჩევლო რესურსი არ გააჩნია, თუმცა ფული აქვს, რომელიც ხელისუფლების მთლიანად და პროკურატურის, კერძოდ, დანაშაულებრივი უნიათობით, შეირგო კიდეც.

***– უმრავლესობის წევრები ფიქრობენ, რომ დესტაბილიზაცია შეუძლებელია, თუ არ მოხდა გარედან დახმარება. ელით თუ არა ნაციონალების უცხო ქვეყნიდან მხარდაჭერას და საიდან შეიძლება მიიღონ მხარდაჭერა სააკაშვილის თანაგუნდელებმა?***

– ეს მხარდაჭერა მათ უკვე აქვთ, ზოგადად დასავლეთიდან, მათმა ლობიმ აშკარად დაჯაბნა „ქართული ოცნების“ დასავლური ლობი. საგარეო ფაქტორი მნიშვნელოვანია, მაგრამ არა იმდენად გადამწყვეტი, როგორც ეს 2003-ში იყო, თუმცა მაშინაც კი ეს მხარდაჭერა არ იყო გადამწყვეტი.

ყველაფერს მაინც შიდა ფაქტორები და ხალხი წყვეტს. ნუ იქნებიან უბრალოდ პასიურნი. საზოგადოების პასიურობა აძლიერებს გარეგანი ფაქტორების როლს და მნიშვნელობას.

***– ხელისუფლებაში მობრუნების შანსი თუ აქვთ ნაციონალებს? ენდიაის კვლევების თანახმად, მათ საკმაოდ კარგი რეიტინგი აქვთ.***

– მე მათი ხელისუფლებაში სრულად მობრუნების შანსს ვერ ვხედავ, გარდა იმ თეორიული ვარიანტისა, როცა „ქართული ოცნების“ შეცდომების გამო, ნაციონალებმა, მათთან უკვე აფილირებულ თავისუფალი დემოკრატების და ლეიბორისტების გარდა, ალიანსი შეკრან ბურჯანაძის ან ინაშვილ–თარხან-მოურავის პოლიტიკურ ჯგუფებთან. სხვა ყველა ვარაუდს სამოქალაქო ომამდე მივყავართ, დიდი შესაძლებლობით, ასეთ ვარიანტშიც კი.

***– რა სიტყვით უკრაინული ვიკილიქსის მიერ გავრცელებულ ციხის კადრებზე და რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს მას „ოცნების“ ხელისუფლებასთან?***

– კოლომოისკიმ ეს ნაციონალების ნაძირალებისგან იყიდა ალბათ, თუმცა „ოცნების“ ანასხლეტებსაც შეეძლოთ იგივეს გაკეთება.

***– დაბოლოს, საინტერესოა თქვენი მოსაზრება იმ ყველაფერთან, რაც ქვეყნის უსაფრთხოებას ეხება. სად ხედავთ ხელისუფლების მოქმედებებში სისუსტეს და მოვლენათა განვითარებას რა კუთხით პროგნოზირებთ?***

– ხელისუფლების სისუსტე, პროკურატურის გარდა, მის ეკონომიკურ ბლოკშია, პოლიტიკური სისუსტე კონკრეტული ხელისუფლების საფრთხეა, აი ეკონომიკური ქაოსი კი ნამდვილად უქმნის ქვეყანას საფრთხეს.

მიუხედავად ყველაფრისა, მე პროცესების არჩევნებამდე მიტანას ვპროგნოზირებ, მაგრამ შემდგომი მოვლენები არჩევნების ციფრებზეა დამოკიდებული, ამის განჭვრეტა კი მთელი ერთი წლით ადრე ძნელია.

# დავით ნარმანია: „ქუჩებს და მოედნებს თვითნებურად თხრიან“

თბილისის მერის, დავით ნარმანიას განცხადებით, ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გახშირდა ქალაქში სხვადასხვა ქუჩის, მოედნის, სკვერის თვითნებურად გადათხრის ფაქტები.

ამასთან, როგორც ნარმანიამ დედაქალაქის მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა, გარკვეულ კომპანიებს დადგენილ ვადებში შესაბამისი სამუშაოების შესრულება უგვიანდებათ, რაც სამართლიანად იწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ნარმანიამ ზედამხედველობის სამსახურს დაავალა, რომ შეისწავლოს ყველა მსგავსი შემთხვევა და გატარდეს პასუხიმგებლობასთან დაკავშირებუ-



ლი ზომები.

– ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გახშირდა ქალაქში სხვადასხვა ქუჩის, მოედნის, სკვერის თვითნებურად გადათხრის ფაქტები. ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს ვავალებ, რომ რაიონული სამსახურების მეშვეობით დროულად შეისწავლოს ყველა მსგავსი შემთხვევა, მოგვაწოდოს წინადადებები’, – განაცხადა ნარმანიამ.

მისივე თქმით, ზამთრის სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით მოსამზადებელი სამუშაოებია ჩასატარებელი.

**დავით ნარმანია:**

– პირველ რიგში, ვავალებ რაიონულ გამგეობებს, რომ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც არის სოციალურად დაუცველი და არ გააჩნია გათბობის შესაძლებლობა, ისინი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ შეშით. ამიტომ, დროულად მივხედოთ მოსახლეობის ამ ნაწილს.

**მედიანიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# თორნიკე შარაშენიძე: „ხელისუფლების ინტერესებშია ტელევიზია, სადაც ხალხი ორთქლს გამოუშვებს“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი თორნიკე შარაშენიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ხალხი ქუჩაში მაშინ გამოდის, როდესაც სამართლიანობის განცდა არ აქვს.**

***– რამდენად რეალურია, რომ სახელმწიფო გადატრიალების საფრთხე არსებობდეს ქვეყანაში? გამოძიება დაიწყო, უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი ბოკერია დაიკითხა. უკრაინულ ვიკილიქსზე გამოქვეყნებული ჩანაწერები გავრცელდა.***

– ტექსტი გამოქვეყნდა, მაგრამ სტამბულის აეროპორტში ბოკერიასა და სააკაშვილის ტუჩების მოძრაობით შეადგინეს ეს ტექსტი? არ არსებობს არც აუდიო და არც ვიდეო ჩანაწერი. სახელმწიფო გადატრიალებაზე გამოძიება უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილემ იზორიამ დააანონსა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბოკერია დაიკითხა, არავინ ვიცით, რა ხდება, როგორც ჩანს, ეს საქმე მიივიწყეს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ე.წ. უკრაინულ ვიკილიქსში გამოქვეყნებული მასალები სერიოზული არ იყო.

***– შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ჭიკაიძემ თავის დროზე პრესაში განაცხადა, რომ არსებობს სახელმწიფო გადატრიალების საფრთხე. მაშინ ითქვა, რომ დაიწყებოდა აქციები, სადაც საბურავებს დაწვავდნენ. შეიძლება, რომ რაღაც ინფორმაცია მართლაც იყო?***

– საბურავების თემით დაიწყო გადატრიალებაზე საუბარი, მაგრამ მაშინაც სწრაფად დასრულდა და განვითარება არ მოჰყოლია.

***– თქვენ ამბობთ, რომ რეალური საფუძველი შეიძლება არ იყო და ისე დაიწყო გამოძიება?***

– მხოლოდ ე.წ. უკრაინული ვიკილიქსი არ გამოდგება მტკიცებულებად.



***– ამაზე პარლამენტის თავმჯდომარემაც გააკეთა განცხადება. უსუფაშვილმა თქვა, თუ მხოლოდ ეს აქვთ და სხვა მტკიცებულებები არა, ეს მალე გამოაშკარავდება და თვითონ დაზარალდებიანო.***

– ცხადია. ჩვენ ვნახავთ, გამოძიებას რა მტკიცებულება აქვს. მეც შემიძლია დავწერო, რომ, მაგალითად, ზაქარია ქუცნაშვილი შეხვდა პუტინს და მისგან მიიღო დავალება, რომ დაიდგას გარკვეული სცენები, და ა.შ. მაგრამ ეს იქნება მტკიცებულება?! ცხადია, არ შეიძლება გამოძიებისთვის ეს იყოს მტკიცებულება.

***– ნაციონალური მოძრაობა არ გამორიცხავს, რომ სახელმწიფო შენობების პიკეტირება დაიწყოს რუსთავი 2-ის გამორთვის შემთხვევაში. მათი თქმით, პროცესები ქუჩებში გადაინაცვლებს. ეს რამდენად ჯდება ამ კონტექსტში?***

– სახელმწიფო შენობების პიკეტირება ხდებოდა წინა ხელისუფლების დროსაც. ხშირი მოწმენი ვიყავით პიკეტირების, ქუჩის აქციების, ეს ხდებოდა ხან თვეში ერთხელ და ხან – თვეობითაც. სირცხვილის დერეფნებიც იმართებოდა, ნახევარი თბილისი პარალიზებული იყო. კარვები იყო გაშლილი მთავარ გამზირზე, მაგრამ ეს მაშინ სახელმწიფო გადატრიალებად არ შეფასებულა. 2007 წელს ასევე იყო მიტინგები, გადაკეტილი იყო რუსთაველის გამზირი, ბოლოს ხელისუფლებას ნერვებმა უმტყუნა და ეს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად შეაფასა. დაარბია მიტინგი, დაარბია ტელეკომპანია იმედი და გამორთო.

ეს იყო მაშინდელი ხელისუფლების კატასტროფა. მაშინ, თუკი იყო რაიმე სახის ნიშნებიც კი გადატრიალების, ამაზე რეაგირება ხელისუფლებას ძალიან მძიმედ დაუჯდა. ახლა, როდესაც გამოძიება იწყება ე.წ. ვიკილიქსში გამოქვეყნებულ ჩანაწერზე, თუ სხვა არაფერი მტკიცებულება არ აქვთ, ეს შეიძლება უფრო მძიმედ დაუჯდეს ხელისუფლებას.

***– თუმცა, მაშინ ოპოზიციის ლიდერები პირდაპირ რუსეთის აგენტებად დაასახელა ხელისუფლებამ. ფილმიც კი გადაიღეს – „ნოემბრიდან ნოემბრამდე“.***

– სადაც იყო ბრალდება სახელმწიფო გადატრიალებაზე, მაგრამ მაშინ არავინ ეს არ დაიჯერა, მიუხედავად იმისა, რომ აუდიო ჩანაწერები გამოქვეყნდა. ეს ის საკითხია, რითაც თამაში არ შეიძლება.

***– თუ პროცესებმა ქუჩაში გადაინაცვლა, შესაძლებელია, რეალური იყოს სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხე?***

– სამწუხაროდ, შესაძლებელია, ეს საფრთხე რეალური იყოს. ქუჩაში ხალხი გამოდის მაშინ, როდესაც ხალხს სამართლიანობის შეგრძნება არ აქვს. წინა ხელისუფლების დროს სწორედ ეს ხდებოდა. ხალხს არ ჰქონდა სამართლიანობის განცდა. ხალხს მაშინ სასამართლოსი არ სჯეროდა. ამიტომაც საბოლოო ჯამში ხალხი ქუჩაში აღმოჩნდა.

თუკი დღევანდელი ხელისუფლება ფიქრობს, რომ რუსთავი 2-ს გადააბარებს ხალვაშს და ამით პრობლემა მოიხსნება, ძალიან ცდება, რადგან თუკი ხალხი ვერსად მოისმენს სიმართლეს, მაშინ უფრო გამოვა ქუჩაში. ეს ძალიან ცუდი იქნება.

მე არ მინდა, ქუჩაში ხდებოდეს საქმის გარჩევა, მირჩევნია, სასამართლო დარბაზებში ხდებოდეს სიმართლის დადგენა, მაგრამ თუკი ხალხი დაინახავს, რომ სასამართლო არ არის სამართლიანი, მაშინ მოხდება იგივე, რაც უკვე გამოვიარეთ. იმედი მაქვს, ჩარჩოებს არავინ გასცდება.

***– გამოსავალი რა არის?***

– ხელისუფლების ინტერესში უნდა იყოს, რომ არსებობდეს ისეთი ტელეარხი, სადაც ხალხი ორთქლს გამოუშვებს. თუ მათ არ მოსწონთ არხი, რომელიც აკრიტიკებს, მაშინ ორი გამოსავალია: პირველი, გამოასწოროს მუშაობა და ნაკლები კრიტიკის საფუძველი მისცეს, რადგან არ არსებობს მთავრობა, რომლის გაკრიტიკებაც არ შეიძლება რაღაცა დოზით. და მეორე, ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა თავი არ უნდა აარიდონ ჟურნალისტებთან ურთიერთობას, მათ დებატებში უნდა დაამტკიცონ სიმართლე.

ეს არის გამოსავალი.

# რატომ არ იღებენ საქართველოს ნატოში?

მარიამ მჭედლიშვილი

**ხელისუფლების ოპონენტები ხშირად აკრიტიკებენ „ქართულ ოცნებას“ იმის გამო, რომ ის პასიურია ევროატლანტიკური მიმართულებით.**

**თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელზე ეს არ ითქმის. პირიქით, ის ნატოზე თითქმის ყოველდღე საუბრობს. თუმცა, მისი განცხადებები არაერთხელ გამხდარა სადავო.**

მაგალითად, გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ მის გამოსვლაში ანტისახელმწიფოებრივი მიდგომა დაინახა. ბურჯანაძის აზრით, ხიდაშელი ნატოში საქართველოს შესვლას გერმანიის მსგავსად უყურებს, მაშინდელ აღმოსავლეთ გერმანიას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს ადარებს გაწევრიანება მათ გარეშე უნდა, რაც ამ ტერიტორიებზე უარის თქმის ტოლფასია.

თავად თავდაცვის მინისტრი აქტიურობას არ ანელებს. ის აცხადებს, რომ ნატომ შემკავებლის ფუნქცია უნდა შეასრულოს, ვინაიდან, იქ, სადაც ნატო შედის, ომი აღარ ხდება.

ხიდაშელის განცხადებებს არათანმიმდევრულს უწოდებს საგარეო პოლიტიკის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი ვანო მაჭავარიანი. მისი თქმით, საქართველოს თავდაცვის მინისტრი დასავლეთში განსხვავებულ გზავნილებს აგზავნის. ხიდაშელის განცხადებები დამაბნეველია. იგი მაპს ხან მოითხოვს, ხან – არა.

ვანო მაჭავარიანი ასევე მიზანშეუწონლად მიიჩნევს „ქართული ოცნების“ კოალიციის სხვა წარმომადგენლების ქილიკის დონეზე დაყვანილ განცხადებებს.

– თუ ნატოს მაღალჩინოსნები საქართველოში თავს დაცულად გრძნობთ, აქ დარჩით, თუ არა და, მიგვიღეთ ნატოში, – ასეთი ნახევარხუმრობები და ნახევარსიმართლეები ტოვებს არასერიოზულობის შთაბეჭდილებას. ნატოშიც ჩამოყალიბდა ეს მიდგომები, – აღნიშნავს ექსპერტი.

იგი იმასაც ამბობს, რომ ხელისუფლებაში არაა ერთიანობა ამ საკითხის მიმართ.

როგორია თავად ნატოს შეფასებები?

ვანო მაჭავარიანის თქმით, სამხედრო მიმართულებით შეფასებები მაღალია. საქართველომ თავი გამოიჩინა სხვადასხვა მისიასა და ოპერაციაში მონაწილეობით, გაიხსნა ნატო-საქართველოს სასწავლო ცენტრი. ამავე დროს, ყველა აღნიშნავს პრობლემას დემოკრატიულობის ხარისხში, სასამართლოს მიმართულებით პოლიტიზირების თემას, ოპონენტებთან ურთიერთობის პრობლემას და სხვა.

– პოლიტიკურ ნაწილში ჩვენს პარტნიორ ქვეყნებს ბევრი კითხვა აქვთ. ნატო არაა მხოლოდ სამხედრო ორგანიზაცია. ის სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციაა. მაპი იქნება ეს თუ წევრობა, ეს სუფთა პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნება, – ამბობს ექსპერტი.

მისი სიტყვებით, ბევრი ქვეყანა მომხრეა, რომ საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი გაფართოვდეს. გერმანია, საფრანგეთი, ჰოლანდია და სხვები კი ისევ სკეპტიკოსებად რჩებიან და მათთვის რუსეთთან ურთიერთობების ინტერესი გაცილებით მაღალია, ვიდრე საქართველოს ნატოში გაწევრიანება.





## თინა ხიდაშელს ვანო მაჭავარიანიც აკრიტიკებს

ვანო მაჭავარიანი ამ ხელისუფლებას მინუსად უთვლის იმას, რომ მთავრობამ არ გაავლო პარალელები უკრაინასა და და საქართველოს შორის, სადაც რუსეთმა აგრესია განახორციელა.

იგი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ნატო არის საქართველოს უსაფრთხოების გარანტი საკმაოდ რთულ ვითარებაში და საშუალება, რომ საქართველო არ გახდეს რუსეთის სრული ოკუპაციის მსხვერპლი.

– რუსეთს სამხედრო თვალსაზრისით საქართველოს მიმართ არა აქვს განსაკუთრებული მოცლა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რუსეთი ამ ინსტრუმენტს არ ინახავს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტისათვის, – ამბობს ვანო მაჭავარიანი.

ცნობილია, რომ ნატოს ვარშავის სამიტზე, რომელიც 2016 წელს გაიმართება, საქართველოსთვის გაწევრიანების სამოქმედო პროგრამის, ანუ მაპის მიცემა არ იგეგმება. ამიტომ, ამერიკელი ანალიტიკოსები საქართველოს პოზიციების გაძლიერებას სხვა მეთოდებით ურჩევენ.

საუბარია სამხედროებისა და რეზერვისტების რაოდენობის გაზრდაზე. მათი აზრით, აშშ-მ საქართველოს უნდა მიანიჭოს განსაკუთრებული მოკავშირის სტატუსი.

# სოზარ სუბარი: „ვისაც გადატრიალების სურვილი აქვს, შეუძლია თავის საწოლში გადატრიალდეს“



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის, სოზარ სუბარის განცხადებით, სახელმწიფო გადატრიალების არანაირი საფრთხე არსებობს.

სუბარი აღნიშნულით 315-ე მუხლით დაწყებულ გამოძიებას გამოეხმაურა.

სოზარ სუბარის თქმით, ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალების საშიშროება არ არსებობს, თუმცა, როდესაც არსებობს ეჭვი, გამოძიება ვალდებულია ეს გადაამოწმოს.

**სოზარ სუბარი:**

– არანაირი საფრთხე სახელმწიფო გადატრიალებისა არ არსებობს. თუმცა, როდესაც ჩნდება გარკვეული ინფორმაცია, ამ ინფორმაციას სჭირდება გადამოწმება. თუკი არსებობს გარკვეული ეჭვი, გამოძიება ვალდებულია, დაიწყოს გამოძიება, რომ დაადასტუროს, არსებობს ეს საფრთხე, ან არ არსებობს. ეს უნდა შეისწავლოს სასამართლომ. რაც შეეხება გადატრიალებას, მე შემიძლია ერთადერთი გავიმეორო ედუარდ შევარდნაძის სიტყვები – ყველას, ვისაც გადატრიალების სურვილი აქვს, შეუძლია თავის საწოლში გადატრიალდეს და გადმოტრიალდეს, სხვა გადატრიალება ამ ქვეყანაში არ მოხდება.

◆ ◆ ◆

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოძიება 315-ე მუხლით რამდენიმე დღის წინ დაიწყო, რაც გულისხმობს შეთქმულებას სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად.

**ნიუსპრესი**

# ირაკლი ღარიბაშვილი: „თოფაძის მოსაზრებებს კატეგორიულად ვემიჯნებით“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის გოგი თოფაძის იმ განცხადებას, რომლის თანახმადაც „ხვალ რუსთავი 2 აღარ იქნება“, – მმართველი გუნდი კატეგორიულად ემიჯნება.

ამის შესახებ პრემიერ-მინისტრის საგანგებო განცხადებაშია ნათქვამი.

– ჩვენ კატეგორიულად ვემიჯნებით პარლამენტის წევრის – ბატონ გოგი თოფაძის პირად მოსაზრებებს ტელეკომპანია რუსთავი 2-თან დაკავშირებით. ასევე, ვემიჯნებით დეპუტატის პოზიციას სტალინთან დაკავშირებით.

კოალიციას აქვს მტკიცე პოზიციები ასეთ ფუნდამენტურ თემებთან მიმართებით და ჩვენ ეს პოზიციები საჯაროდ გვაქვს გაცხადებული.

ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია მედიის თავისუფლება და მიგვაჩნია, რომ რუსთავი-2-თან



დაკავშირებით ობიექტური, მიუკერძოებელი განაჩენი დამოუკიდებელმა სასამართლომ უნდა გამოიტანოს.

ჩვენ ვართ ევროპული ღირებულებების ერთგული პოლიტიკური კოალიცია, რომელსაც კარგად აქვს გააზრებული საბჭოთა წარსული. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ევროპული და ევროატლანტიკური კურსი – ეს არის სწორი გზა და იგი პრინციპულად განსხვავდება იმ რეჟიმისგან, რომელშიც ათეული წლების განმავლობაში მოგვიწია ცხოვრება.

ჩვენ მივისწრაფვით დემოკრატიული განვითარებისკენ, ევროპული ოჯახისკენ, – ნათქვამია განცხადებაში.

**ნიუსპრესი**

# ვახტანგ მაისაია: „საქართველოსთვის გაყინული კონფლიქტები სჯობდა“

## რა გავლენას ახდენს რეგიონზე ომი სირიაში

**მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების ინტერესთა დამთხვევა და მათ შორის არსებული წინააღმდეგობები სირიაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, გავლენას ახდენს რუსეთ-საქართველოსა და რუსეთ-უკრაინის კონფლიქტებზე.**

**გასულ კვირას პუტინმა ასადი მოსკოვში ჩაიყვანა. პარალელურად ამერიკა და რუსეთი სირიაში ისლამური ხალიფატის წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებაზე შეთანხმდნენ. თუმცა, რუსეთსა და ამერიკას შორის წინააღმდეგობებიც არის – ამერიკელებს არ უნდათ, ასადი ხელისუფლებაში დარჩეს. აქედან გამომდინარე, ისმება კითხვა, ამ წინააღმდეგობათა ფონზე პროცესები როგორ შეიძლება განვითარდეს? ამ საკითხზე საუბრობს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია.**

გულიკო ბალაძე

***– ბატონო ვახტანგ, როგორ ვითარდება მოვლენები სირიასთან დაკავშირებით?***

– არა მხოლოდ ასადი იმყოფებოდა მოსკოვში, არამედ რუსეთის პარლამენტის დელეგაცია იყო ჩასული სირიაში და შეხვდა ასადს. სიტუაცია ცოტა გაურკვეველია, ამერიკელები და რუსები ვერ თანხმდებიან იმაზე, როგორი უნდა იყოს ასადის ბედი და როგორ უნდა ებრძოლონ ისლამურ ხალიფატს. რუსეთი აშკარად ებრძვის ასადის ოპოზიციას, რომელსაც ამერიკელები ყველანაირად ეხმარებიან.

რუსები ურტყამენ პროამერიკულ ძალებს და არა – რადიკალ ისლამისტებს. რუსული ინტერესია, რომ დაარტყას იმ ძალებს, რომლის შემადგენლობაში შედის ჩრდილოკავკასიური ემირატი. ეს ამერიკელების გაოცებას იწვევს.

***– თურქეთის პრემიერმა ასადის საერთოდ მოსკოვში დატოვება ისურვა. თურქეთის პოზიცია ამ შემთხვევაში მაინც ამერიკის მხარესაა.***

– თურქეთსა და ამერიკას ერთი ინტერესი აქვთ. ასადის რეჟიმი ეხმარებოდა ქურთების მუშათა პარტიის სამხედრო დაჯგუფებებს. ამიტომ თურქეთის პოზიცია გასაგებია, ასადი თურქეთის სახელმწიფოებრიობისთვის საფრთხეს წარმოადგენს. ამიტომ შეიჭრა თურქეთის არმია სირიაში, რომ ეს დაჯგუფება გაენადგურებინა.

***– რუსეთი ასადს მართლა ხომ არ გაიყვანს თამაშიდან და მოსკოვში ხომ არ წაიყვანს?***

– ჯერჯერობით, არა. ამ ეტაპზე რუსეთსა და ასადს შორის მჭიდრო კავშირია. კრემლს ასადზე დიდი ფსონი აქვს დადებული. აქ საუბარია არა მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკურ, არამედ გეოპოლიტიკურ ინტერესზე.

***– მაშინ როგორღა უნდა ითანამშრომლონ რუსეთმა და ამერიკამ?***

– რუსეთსა და ამერიკას შორის თანამშრომლობა არ გამოდის, რუსეთი თავის ინტერესებს ახორციელებს, ამერიკა – თავის. მათ შორის ცივი ომის პერიოდია.

***– ამ ფონზე უკრაინის პრობლემებმა უკანა პლანზე გადაიწია?***

– უკრაინის პრობლემები გადავიდა გაყინვის პროცესში. ეს რუსეთის ინტერესებშიც შედის. ყირიმის ანექსიაც შემდგარი ფაქტია. ფაქტობრივად, უკრაინაში პრობლემების ჩაჩუმათება ხდება და ვითარება გაყინული კონფლიქტის მდგომარეობაში გადადის.

ამაზე თანხმობას აცხადებენ ევროკავშირის სახელმწიფოები. ევროკავშირისა და რუსეთის ინტერესები უფრო ჰარმონიაში გადადის, ვიდრე ამერიკისა და ევროკავშირის ინტერესები. გერმანია და საფრანგეთი ფიქრობენ, ხომ არ უნდა გვეთანამშრომლა ასადის რეჟიმთან, ისლამური ხალიფატი რომ დაგვემარცხებინაო. ევროკავშირისა და ევროპელი ლიდერებისთვის ისლამური ხალიფატია ნომერ პირველი საფრთხე და არა – ასადის რეჟიმი.

***– რატომ უნდა ფიქრობდნენ ასე?***

– ისლამური ხალიფატი არის რეგიონალური ჰეგემონი. ეს იწვევს კონფლიქტის ესკალაციას. ევროპამ მიიღო 620 ათასი ლტოლვილი, რამაც შეიძლება მიიღოს დიდი ზვავის ეფექტი, რაც ევროპას დაარტყამს.

ამიტომ ევროპელი ლიდერები არჩევენ, გაითვალისწინონ რუსეთის ინტერესები როგორც ახლო აღმოსავლეთში, ისე აღმოსავლეთ ევროპის მიმართულებით უკრაინის მიმართ. ამიტომ დაიწყეს კონფლიქტის გაყინვა.

***– საქართველოში არსებული კონფლიქტებიც გაყინულია?***

– რა თქმა უნდა. თუმცა, გაყინულიც აღარ არის. რუსეთმა ეს კონფლიქტები გადაიყვანა სხვა ფორმატში. რუსეთმა საქართველოსთან კონფლიქტები ჯერ მიიყვანა გაღლობის დონემდე, ხოლო შემდეგ – მისთვის სასურველ ფორმატში.

ახლა რუსეთმა შეიძლება ცხინვალის რეგიონის ანექსია მოახდინოს, ისე, როგორც ყირიმი მიიერთა. ასე რომ, სიტუაცია ჩვენთვის უარესი სცენარით ვითარდება, ვიდრე გაყინული კონფლიქტის დროს იყო.

◆ ◆ ◆

***– ბატონო ვახტანგ, როგორ უყურებთ ბოლოდროინდელ პოლიტიკურ პროცესებს საქართველოში? პრეზიდენტმა განაცხადა, საქართველო სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზეაო. საქმე აღიძრა სახელმწიფო გადატრიალების მზადების მუხლით. მოვლენების განვითარების რა სცენარები ჩანს?***

– ამ ეტაპზე ჩემთვის გაუგებარი ვითარებაა. არ ჩანს, რა სცენარები შეიძლება ჰქონდეთ. ჯერ სიტუაცია არ არის გარკვეული. რუსთავი 2-თან დაკავშირებული კონფლიქტი ხელოვნურადაა აგორებული. ჭიქაში აგორებული ქარიშხალია. გარკვეული პოლიტიკური ძალა ხელოვნურად ძაბავს ვითარებას ქვეყანაში, რაც წამგებიანია საქართველოსთვის.



## „წამების ფაქტები ჰააგის პროკურატურამ უნდა გამოიძიოს“

***– პრეზიდენტის განცხადება როგორ აღიქვით?***

– პრეზიდენტის განცხადება ჩემთვის გაურკვეველია. მას საფუძველი არ აქვს იმის, რაც მან განაცხადა.

***– ზოგიერთმა გამოთქვა მოსაზრება, რომ შესაძლებელია პრეზიდენტის განცხადება ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი იყოს.***

– შესაძლებელია. მეც ვეთანხმები ამ მოსაზრებას. სამწუხაროდ, ასეა.

***– გადატრიალების მზადებაზე რას იტყვით?***

– თუ დღევანდელმა ხელისუფლებამ ეს გამოიყენა ისე, როგორც ამას წინა რეჟიმი იყენებდა, ეს არის პირველი გამოწვევა სახელმწიფოში.

***– რაიმე ნიშანი არის იმისა, რომ ახლანდელი ხელისუფლება წინას დაემსგავსოს?***

– არა, მაგრამ პროკურატურა ჩამოყალიბდა ანტისახელმწიფოებრივ ორგანოდ და არ იძიებს იმ დანაშაულობებს, რაც წინა ხელისუფლების პირობებში იყო ჩადენილი. ეს არის სახელმწიფოს გამოწვევა.

***– სწორედ ნაციონალების მიერ ჩადენილი დანაშაულობების გამოუძიებლობას საყვედურობენ ახლანდელ ხელისუფლებას.***

– პროკურატურა საქმეებს არ იძიებს, თორემ საუბარი არ არის ახლანდელი ხელისუფლების წინა ხელისუფლებასთან რამენაირ მსგავსებაზე. პროკურატურა არის აბსოლუტურად უმოქმედო.

***– სიტუაციის გამოსწორების რა გზას ხედავთ?***

– პრობლემა იმდენად სიღრმისეულია, რომ ამას ქირურგიული ჩარევა თუ უშველის

***– ახლახან საპროკურორო საბჭო შეიქმნა, იგეგმება რეფორმები. ამგვარი ღონისძიებები ვითარებას ვერ გამოასწორებს?***

– იმედია, ვითარება გამოსწორდება.

ექსპერტი მოითხოვს, მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების დროს ციხეებსა და სხვა ადგილებში ადამიანების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები ჰააგის პროკურატურამ გამოიძიოს.

ამ მიზნით მაისაია ჯგუფის შექმნის ინიციატივით გამოდის, რომელიც ითანამშრომლებს ჰააგის პროკურატურასთან.

***– წინა ხელისუფლების დროს ჩადენილი ადამიანთა მასობრივი წამების ფაქტები კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია და ჰააგის ტრიბუნალმა უნდა გამოიძიოს, – აცხადებს ვახტანგ მაისაია.***

– წამების გამოძიების მოთხოვნით საქართველოს მოქალაქეებმა უნდა მიმართონ?

***– ჯგუფი უნდა შეიქმნას, რომელიც მიმართავს ჰააგის ტრიბუნალს.***

– თქვენ ხომ არ გაქვთ მოაზრებული ამ ჯგუფის შემადგენლობა?

***– მე გამოვდივარ ინიციატივით, რომ ასეთი ჯგუფი შეიქმნას, მიეწოდოს მასალები ჰააგის პროკურატურას და დაიწყოს გამოძიება.***

– ვინ უნდა გასამართლდნენ?

***– ის სუბიექტები, რომლებიც ადამიანების წამების, ამ ფაქტების ჩაწერისა და გადაღების ბრძანებებს იძლეოდნენ.***

– შანსი არის, რომ ჰააგის პროკურატურამ წამების ფაქტები გამოიძიოს და ჰააგის ტრიბუნალს გადასცეს?

– შანსი არის, რადგან ასეთი საქმეების გამოძიების პრეცედენტი გააჩნია. არსებობს წამების ფაქტების გამოძიებისა და პირთა გასამართლების ორი პრეცედენტი.

## პრემიერი ნაციონალების ოფისების დარბევით დაინტერესდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ნაციონალური მოძრაობის ოფისების ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებული გამოძიების მიმდინარეობით დაინტერესდა.

მან ამის შესახებ განმარტება შს მინისტრ გიორგი მღებრიშვილს მთავრობის სხდომაზე მოსთხოვა.

როგორც შს მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა განმარტა, არც ერთი ფაქტი რეაგირების გარეშე არ დარჩენილა.

კერძოდ, მღებრიშვილის თქმით, მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით 22 შემთხვევაში დაწყებულია ადმინისტრაციული სამართალწარმოება, ხოლო სამართალდამცავებმა ადმინისტრაციული წესით დააკავეს 3 პირი.

მისივე თქმით, გამოძიება 8 სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარეობს და არც ერთი ფაქტი რეაგირების გარეშე არ დარჩენილა. **ნიუსპრესი**

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წვრილდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე.

**ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ქართველების მოთხოვნით სომხებმა აფხაზები საერთაშორისო ტურნირიდან გამოყარეს

შორენა მარსაგიშვილი

**აფხაზეთის ფიზიკური კულტურის და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი თბილისსა და ერევანს არასპორტულ საქციელში სდებს ბრალს. აფხაზთა მთავარი სპირტული ორგანოს ინფორმაციით, ქართული მხარის მოთხოვნით სომხებმა აფხაზი მოჭიდავეები საერთაშორისო ტურნირიდან გამოყარეს.**

ერევნიდან გამოყრილი აფხაზი ათლეტები სახელმწიფო კომიტეტში შეიკრიბნენ და იქედან ამცნეს სამყაროს, რომ ქართველები მათ საერთაშორისო ტურნირებში ასპარეზობის საშუალებას არ აძლევენ.



ერევანში წასულ აფხაზურ დელეგაციას მათი მთავარი მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში ოლეგ ბერაია ხელმძღვანელობდა. ბერიამ აფხაზთა მთავარ ფიზორგს ბაგრატ ხუტაბას ყველაფერი დეტალებში მოუყვა.

– სომხეთში საერთაშორისო ტურნირზე მონაწილეობის მისაღებად მოსაწვევი ღონისძიების ორგანიზატორისგან მივიღეთ. ეს გახლავთ კლუბი „მალათია“, რომელთანაც დიდი ხნის და თანაც მეგობრული ურთიერთობები გვაკავშირებს, – აღნიშნა ბერაიამ.

როგორც მთავარი მწვრთნელი ამბობს, მას თავიდანვე გაუჩნდა ეჭვი, რომ ერევანში ჩასული ქართველები რაღაცას იხიმანდრებდნენ.

– მქონდა გარკვეული ეჭვები, რომ ქართული მხარე ჩვენს წინააღმდეგ რაღაცას მოაწყობდა. ამიტომ წინასწარ დავუკავშირდი ტურნირის ორგანიზატორს და ვიკითხე, რა ასპარეზობის რა შანსები გვექნებოდა, თუ ქართველები ტურნირიდან ჩვენს მოხსნას მოითხოვდნენ. ისინი შემპირდნენ, რომ აფხაზ ათლეტებს არანაირი პრობლემა არ შეექმნებოდათ, მაგრამ მათ თავიანთი დანაპირების შესრულება ვერ მოახერხეს, – დაიჩივლა ერევნიდან გამოგდებულმა მწვრთნელმა.

აფხაზთა მთავარ ფიზორგს ვერაფრით აუხსნია, რატომ დააკმაყოფილეს სომხებმა ქართველების თხოვნა.

– დღემდე არ მესმის, რატომ იქნა დაკმაყოფილებული ქართული დელეგაციის მოთხოვნა. ეს ტურნირი ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ფილას ორგანიზებით არ ტარდებოდა, – ამბობს ხუტაბა.

ფილა აფხაზეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებს და შესაბამისად მისი ორგანიზებით მოწყობილ ტურნირებზე აფხაზები დამოუკიდებელ გუნდად არ დაიშვებიან.

ის შეუხებულია იმით, რომ სპორტული სფერო ნელ-ნელა პოლიტიზირებული გახდა.

– სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ. ტურნირიდან მოხსნით ჩვენმა ახალგაზრდებმა სტრესი განიცადეს და იმედგაცრუებული არიან, – აღნიშნა აფხაზმა ჩინოსანმა.

ხუტაბას და ბერაიას შეხვედრას ბორის ბაგათელიაც ესწრებოდა. რომელიც, აპსნიპრესის ცნობით, საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი ყოფილა. მან ქართველებზე მეტად სომხები გააკრიტიკა.

– ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ქართული მხარე ამა თუ იმ ღონისძიებაში მონაწილეობის უფლებას არ გვაძლევს. თავად ამ ინციდენტში კი სომხურ მხარეს ვადანაშაულებ, მათ ქართველების საჩივარი არ უნდა დაეკმაყოფილებინათ, – განაცხადა ბაგათელიამ.

ოლეგ ბერაია კი მომხდარში სომხეთის ოლიმპიურ კომიტეტს ადანაშაულებს. მისი განმარტებით, სწორედ ამ ორგანოს წარმომადგენლებმა უთხრეს აფხაზებს, ქართველებმა იჩივლეს და ვერ იჭიდავებთო.

ერევნული ინციდენტით შეშფოთებული ხუტაბა სპეციალური კომისიის შექმნას ითხოვს.

მისი თქმით, აფხაზეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა მომხდართან დაკავშირებით აუცილებლად უნდა მიმართოს სომხეთისა და რუსეთის ჭიდაობის ფედერაციებს. ხუტაბას აზრით, მომავალში ქართველებმა მსგავსი სიურპრიზები რომ აღარ მოუწყონ, ფილაც უნდა იყოს ამის კურსში.

# გიორგი სამანიშვილი: „ყურძენზე სუბსიდია მაღლე აღარ იქნება“

ლალი დავითური

**საქართველოში რთველი დამთავრდა. ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, წელს სახელმწიფომ ქვეყნის მასშტაბით 102.341.924 ლარის ღირებულების 143.147 ტონა ყურძენი გადაამუშავა (კახეთსა და რაჭაში).**

**სახელმწიფოს 60 მლნ ლარი დაუჯდა ყურძნის შეძენა სუბსიდირების თანხებთან ერთად. კარგია თუ არა დარგის განვითარებისთვის სუბსიდირება, რის მიხედვით დაწესდა სუბსიდირების თანხები, რას უზამს შესყიდულ ყურძენს სახელმწიფო — ამ და სხვა საკითხების შესახებ „ახალი თაობა“ ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილს ესაუბრა.**






***— ბატონო გიორგი, რის მიხედვით შეირჩა ის ჯიშები რომლებზეც სუბსიდირება დაწესდა, მასზე მაღალი მოთხოვნის გამო, ხარისხისა თუ რისი გათვალისწინებით?***

— სუბსიდირება შემოვიდა მას შემდეგ, რაც პირველად დაიკეტა რუსეთის ბაზარი და დარჩა იმაზე მეტი ყურძენი, ვიდრე მოთხოვნა იყო ბაზარზე. სუბსიდია შემოიღეს ფასზე დანამატით, რათა მევენახემ მიიღოს უფრო მაღალი შემოსავალი, ვიდრე ამას საბაზრო ფასით მიიღებდა.

სამანიშვილი ამბობს, რომ ბოლო წლებში იმდენად ღრმად შევიდა დარგში სუბსიდირების სისტემა, რომ დააზარალა დარგი. სახელმწიფო ხარჯავს ფულს, არც მევენახეა კმაყოფილი, არც მეღვინე და დარგი უკან მიდის.

— ამიტომ გადაწყდა, რომ სუბსიდირება შემცირდეს. უცბად ვერ შეწყდება, მაგრამ ნელ-ნელა უნდა გამოვიდეს სახელმწიფო და ტყუილად არ ხარჯოს ეს ფული. ხაზს ვუსვამ, რომ დარგიც ზარალობს და სახელმწიფოც, — აცხადებს გიორგი სამანიშვილი.

***— გამოდის, რომ ყურძნის ბიზნესში თავისუფალი ბაზრის განვითარება ფერხდებოდა?***

— კი, წლების განმავლობაში ფასები აღარ დგინდებოდა ხარისხისა და მოთხოვნის მიხედვით. იმდენად დიდი ფული შედიოდა სახელმწიფოდან, რომ სხვაობა ხარისხიან და უხარისხო ყურძენს შორის ძალიან შემცირდა.

სუბსიდირების გაუქმება წელსაც იგეგმებოდა.

— მაგრამ როცა დავაკვირდით ექსპორტის დინამიკას, რომელიც შარშანდელთან შედარებით შემცირდა და მოსავალს, რომელიც შარშანდელთან შედარებით გაცილებით მეტი იყო, გამოჩნდა, რომ ჭარბი ყურძენი ისევ დარჩებოდა. ამიტომ ბოლო მომენტში გადაწყდა სუბსიდირების შენარჩუნება, — განმარტავს ღვინის სააგენტოს თავმჯდომარე.

***— სუბსიდიის ფასი რქაწითელზე და კახურ მწვანეზე 35 თეთრია, საფერავზე — 15 თეთრი. ალექსანდროულსა და მუჯურეთულზე რატომ არის ასეთი მაღალი ფასი — 5 ლარი?***

— წინასწარ რაოდენობის ანალიზიც ხდება და ფასის ანალიზიც. სუბსიდირების გარეშე საბაზრო ფასი იქნებოდა დაახლოებით 25-35 თეთრი თეთრ ყურძენზე და წითელზე იქნებოდა 50-60 თეთრი.

***— სუბსიდირება როგორ დათვალეთ?***

— მეღვინისგან გადახდილ თანხას დაემატა სუბსიდია, რომ მიგვეღო ის თანხა, რომლითაც მევენახე მოგებაზე გავიდოდა და თან წინა წელთან შედარებით დიდი შემცირება არ ყოფილიყო ფასში.

***— ალექსანდროულზე რატომ დააწესა სახელმწიფომ ასეთი მაღალი ფასი, ამ ჯიშებზე ხომ მაღალი მოთხოვნაა?***

— საბაზრო ფასი ალექსანდროულსა და მუჯურეთულზე კარგ შემთხვევაში იქნებოდა 2-დან 3 ლარამდე, ანუ სამჯერ ნაკლები შარშანდელ ფასზე. წელს ალექსანდროულის მოსავალი 1.250 ტონა იყო, კერძო სექტორს კი მხოლოდ დაახლოებით 100-დან 250 ტონამდე უნდოდა. ანუ წელს მოთხოვნილება აღარც ამ ყურძენზე აღარ იყო ისეთი, როგორც წინა წლებში. ესეც ჩაუბარებელი დარჩებოდა. არც ალექსანდროულსა და მუჯურეთულს აქვს ისეთი ბაზარი, როგორიც მოსავალი იყო. წაგება გაცილებით მეტი იქნებოდა, ვიდრე მოგება.

***— თუ მომავალ წელსაც არ იქნა მოთხოვნა, მაშინ სახელმწიფომ სუბსიდირება როდემდე უნდა გააგრძელოს?***

— პოლიტიკა იქნება იგივე, სუბსიდირება შემცირდება თანდათან და საბაზრო ეკონომიკაზე გადავალთ.

***— გამოდის, სუბსიდირებით სახელმწიფო დათვურ სამსახურს უწევს ამ დარგს?***

— ასეა, სუბსიდირებით დათვურ სამსახურს ვუწევთ, იმაზე მეტ ფულს ვაძლევთ მევენახეს, ვიდრე მიიღებდა საბაზრო ფასების შემთხვევაში და ის მიეჩვია ამას.

***— იმ რეგიონების ფონზე, სადაც მევენახეს სუბსიდირების თანხას უხდის სახელმწიფო, იმერეთის და ქართლის რეგიონები ხომ არ დაიჩაგრა?***

— არა, აქ, სახელმწიფოს ჩაურევლობის გამო, მევენახემ ზუსტად იცის, რამდენს მოიყვანს, სად რამდენს გაყიდის და რა მოგება დარჩება.

***— კი ბატონო, მაგრამ დღეს ქართლში მევენახეებს უჭირთ ყურძნის რეალიზაცია, დღესაც დაუკრეფავი აქვთ ყურძენი, ამინდების გაუარესების გამო უკვე ფუჭდება ყურძენი, დახმარება კი არსაიდან ჩანს.***

— არ ვიცი, საიდან გაქვთ ეგ ინფორმაცია. კახეთში არის რქაწითელი, ქართლში არის ჩინური და გორული მწვანე. ქართლის ყურძენი უკეთ იყიდება ბაზარზე, ვიდრე რქაწითელი.

გიორგი სამანიშვილი ამბობს, რომ მევენახემ უნდა გაიტანოს ყურძენი ბაზარზე და გაყიდოს. ყურძნის გაყიდვის ბევრი გზა არსებობს. საჭიროა მოლაპარაკება იმ ღვინის კომპანიებთან, რომლებსაც შეიძლება აინტერესებდეთ პროდუქცია.

— მევენახესთან ყველა არ ჩავა და არ შეეხვეწება, ყურძენი მომყიდეო. 70-იანი წლებიდან მსოფლიოში აღარ არის ისეთი მოთხოვნილება, რომ ვინმე ჩავიდეს და შეეხვეწოს, მომყიდე ყურძენიო. გამყიდველი თვითონ ცდილობს, რომ ნახოს მყიდველი, — ამბობს სამანიშვილი.

***— ცოტა გაუგებარია, თუ ქართლელმა მევენახემ თვითონ უნდა ეძებოს მყიდველი, რატომ იგივეს არ ურჩევთ კახელ და რაჭველ მევენახეებს? თუ რაჭა-ლეჩხუმში ბარდება სხვადასხვა ჯიშის ყურძენი 70 თეთრად, რატომ არ შეიძლება ასევე ჩაიბაროს სახელმწიფომ ქართლის ყურძენიც და დაეხმაროს მოსახლეობას? მოსახლეობა უკმაყოფილოა, რომ ყურადღებას არავინ იჩენს.***

— თუ თქვენ ყურადღებად იმას თვლით, რომ ვილაცა ჩავიდეს და ფული დაარიგოს, არ ვიცი. ჩვენ არ დავდივართ და ფულს არ ვარიგებთ. მუშაობა მიდის ამ ჯიშების ცნობადობის გაზრდაზე, რომ მოთხოვნილება გაიზარდოს ამ ჯიშებისგან წარმოებულ ღვინოზე. ეს უფრო სწორია, რომ მოთხოვნილება გაიზარდოს კარგ, ხარისხიან ღვინოზე, ხარისხიან ყურძენზე.

***— იმ ჯიშების გავრცელების არეალი, რომლებზეც სუბსიდირება არ ვრცელდება, ხომ არ შემცირდება?***

— პირიქით, უფრო მეტი ახალი ჯიშები შენდება, ვიდრე სტანდარტული ჯიშები. ჩვენ ჯიშების მრავალფეროვნების პოპულარიზაციას ვახდენთ. ქართული ღვინო უფრო ცნობადი ხდება კულტურულ ბაზრებზე, სადაც მხოლოდ ერთი სტილის ღვინო კი არ აინტერესებთ, არამედ მრავალფეროვნება.

აქედან გამომდინარე, უკვე გაცილებით მეტი ჩანს სხვა ჯიშები, საფერავისა და რქაწითელისგან განსხვავებით. ჩინური, გორული მწვანე, შავკაპიტოც უკვე ბოთლებში ისხმება ქართლიდან, ეს ღვინოები უკვე შემოდის და მომხმარებელი კარგ ღვინოს უკვე მოიხმარს. კარგ გორულ მწვანეს ეძებენ კომპანიები.

***— რამდენიმე წლის წინ კარგი მოთხოვნა იყო თავკვერზე, ახლა კი საერთოდ აღარ არის.***

— იმიტომ, რომ კარგი თავკვერი, თვითონ მოჰყავს იმ კომპანიას, რომელიც აყენებდა ღვინოს ყურძნის ამ ჯიშიდან, მეტი მოსავალი კი, ეტყობა, არ სჭირდება.

***— გამოდის, ცოტა ხანში მევენახეებს საერთოდ გაუჭირდებათ ყურძნის რეალიზაცია, რადგან თითქმის ყველა ღვინის კომპანია აშენებს ვენახებს.***

— არა, მევენახემ უნდა მოიყვანოს ხარისხიანი ყურძენი და წინასწარ მოძებნოს და შეუთანხმდეს იმ კომპანიას, ვინც პოტენციური მყიდველია, ფასზე და ხარისხზე. არ მოატყუოს ის ხარისხში, არ მოიყვანოს ორჯერ მეტი მოსავალი, ვიდრე უნდა მოვიდეს, რომ ხარისხი იყოს მაღალი. ეს არის გამოსავალი — ხანგრძლივი ურთიერთობა მევენახესა და ღვინის მწარმოებელს შორის.

***— რამდენი ტონა ყურძენი შეიძინა სახელმწიფომ?***

— მოკრეფილი ყურძნიდან სახელმწიფომ ჩაიბარა 43 ათასი ტონა ყურძენი, დანარჩენი — კერძო სექტორმა.

***— სახელმწიფო შესყიდულ ყურძენს რას უზამს, კონკურენციას ხომ არ გაუწევს ღვინის მწარმოებლებს?***

— სახელმწიფო კონკურენციაში არ შევა ღვინის ბიზნესში. სავარაუდოდ, ის ყურძენი გამოიხდება სპირტად, იმიტომ, რომ ნაკლები ადგილი დაიკავოს. სპირტი არ არის მალფუჭებადი პროდუქტი და შემდეგ მიეცემა ის მიმართულება, სადაც უფრო მეტად იქნება საჭირო. ეს შეიძლება წავიდეს ტექნიკურ სპირტად, სხვა სპირტად, რაღაც დანიშნულება მიეცემა.

ყოველ შემთხვევაში, სახელმწიფო ღვინის ბიზნესში არ არის ჩართული. ეს იყო დახმარება იმ რეგიონისთვის, სადაც ძალიან ბევრი ყურძენია.

## თავდაცვის სამინისტრო მხოლოდ ქართულ ხორცს შეჭამს

### ტენდერი ქართველი მეწარმეებისთვის

საქართველოს თავდაცვის მინისტრის, თინათინ ხიდაშელის განცხადებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ტენდერს ქართული ხორცის შეძენაზე.

უწყების ინიციატივაზე თინათინ ხიდაშელმა ბრიფინგზე ისაუბრა.

მინისტრის განცხადებით, ივლისში დადეს პირობა, რომ წლის ბოლომდე ქართულ ჯარს თანდათანობით, სრულად გადაიყვანდნენ ქართულ კვებაზე.

— დღეს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ტენდერს ქართული ხორცის შეძენაზე. მარტო მიმდინარე წელს 6 მილიონი არის დახარჯული ხორცზე და მთლიანად ამ პროდუქტის შესყიდვა ხდებოდა უცხო ქვეყნებიდან, ძირითადად ინდოეთი იყო მომწოდებელი, მაგრამ ასევე იყო სხვა ქვეყნები, — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

მისი თქმით, ამოცანა არის ძალიან მარტივი:

— ერთი მხრივ, ქართულ ბიზნესს დავეხმაროთ, დავეხმაროთ იმ ადამიანებს და მეწარმეებს, ვინც ქვეყანაში ამ ბიზნესით არის დაკავებული და ამავდროულად ხელი შევუწყოთ ქართველ მწარმოებლებს. ყველას მინდა ვთხოვო მაქსიმალური აქტივობა გამოიჩინონ.

ტენდერი ცხადდება მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოსთან მი-



მართებაში, თუმცა მომავალი წლიდან ის უკვე მთელ საქართველოს დაფარავს.

— ჩვენ თანდათანობით, წლის ბოლომდე სხვა დანარჩენ პროდუქტებზეც, რომლებიც იწარმოება საქართველოში, ასევე გამოვაცხადებთ ტენდერს მხოლოდ ქართველი მეწარმეებისთვის, — განაცხადა ხიდაშელმა.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტენდერი ცხადდება საქართველოში ნაწარმოებ ხორცზე და არა იმ ქართველ მეწარმეებზე, რომლებსაც შემოაქვთ ხორცი.

აქედან გამომდინარე, ხიდაშელი მოუწოდებს ყველას, ვისაც აქვს შესაბამისი გამოცდილება, მიიღოს ტენდერში მონაწილეობა. ამასთან, მინისტრი იმედოვნებს, რომ ქართული მედია უზრუნველყოფს ამ ინფორმაციის მაქსიმალურ მიწოდებას ჩვენი მოსახლეობისთვის.

როგორც ხიდაშელმა განაცხადა, 2014 წელს ქართულმა ჯარმა 460 ტონა ხორცი მოიხმარა.

**ბიპიენი**

## მობილურ ბაზარზე, შესაძლოა, ახალი კომპანია შემოვიდეს



მობილურ ბაზარზე, შესაძლოა, ახალი კომპანია შემოვიდეს.

აუქციონს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობისთვის კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია მიმდინარე წელს გამოაცხადებს.

როგორც კომისიაში განმარტავენ, აუქციონზე გამოტანილი იქნება იმ რაოდენობის რადიოსიხშირული სპექტრი, რომელიც ერთი დამოუკიდებელი კომპანიის ოპერირებისთვის საკმარისი იქნება.

კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში „კომერსანტს“ განუცხადეს, რომ აუქციონში მონაწილეობა, ადგილობრივი კომპანიების გარდა, საერთაშორისო კომპანიებსაც შეეძლებათ.

რადიოსიხშირული სპექტრის ფლობის გარეშე ახალი კომპანია ქართულ ბაზარზე ვერ შემოვა, აქედან გამომდინარე, თუ კომპანიას შემოსვლის სურვილი აქვს, სწორედ ეს სიხშირეები უნდა შეიძინოს.

უწყებაში აღნიშნავენ, რომ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის აუქციონი „მაგთიკომისა“ და „ჯეოსელის“ მოთხოვნითაც იმართება, რომლებსაც საკუთარი მომსახურების გაუმჯობესება სურთ და სწორედ ამ მიზნით მათ კომისიას უკვე მიმართეს.

◆ ◆ ◆

ინფორმაცია, რომ ქართულ ბაზარზე, შესაძლოა, ახალი კომპანია შემოვიდეს, გასულ წელს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის წევრმა ირაკლი მოსეშვილმა გაავრცელა.

მისი ინფორმაციით, 4 ჯი ინტერნეტის დანერგვასთან ერთად, გაიზარდა ინტერესი საქართველოს მობილური ბაზრის მიმართ, შედეგად ახალი კომპანიებიც ინტერესდებიან ახალ ბაზარზე შესვლით.

ახალ კომპანიას ბაზარზე ელოდება პარლამენტის წევრი თემურ მაისურაძეც.

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის კუთხით მნიშვნელოვნად ასახელებს „კომუნიკაციების შესახებ კანონს“, რომლის მიღების შედეგადაც სახელმწიფო ბიუჯეტში დაახლოებით 350-500 მილიონი ლარი შევიდა.

მისი თქმით, აღნიშნულმა კანონმა ბევრი ახალი სიხშირე გააჩინა, რაც საშუალებას აძლევს სხვა კომპანიებს, განაცხადი შეიტანონ და ამ სიხშირეებით ისარგებლონ, შედეგად, ეს კანონი დამატებით კიდევ ბევრ ინვესტიციას მოიზიდავს.

4 ჯი ინტერნეტი საქართველოში მიმდინარე წელს დაინერგა.

**სალომე მეცხვარიშვილი, კომერსანტ.გე**

## ირანული გაზის საკითხი ნოემბერში გაირკვევა

— ირანი ძალიან საინტერესო ბაზარია.

ამის შესახებ მთავრობის გუშინდელი სხდომის დაწყებამდე ჟურნალისტებს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ განუცხადა.

ამით ის ბიძინა ივანიშვილის განცხადებას გამოეხმაურა იმის თაობაზე, რომ პირადად არის ჩართული ირანიდან საქართველოში ბუნებრივი აირის შემოტანასთან დაკავშირებულ საკითხში.

როგორც კალაძემ განმარტა, ნოემბრის შუა რიცხვებში ირანში ვიზიტს გეგმავს, რომ-



ლის ფარგლებშიც გახდება ცნობილი, რამდენად შევძლებთ ბუნებრივი აირის წამოღებას.

— ირანი ძალიან საინტერესო ბაზარია. დღეისთვის ამ ქვეყანასთან არის განსხვავებული მიდგომები. ის რესურსი, რომელიც ირანს გააჩნია, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. ჩვენ უახლოეს მომავალში, ნოემბრის შუა რიცხვებში ვგეგმავთ ირანში ჩასვლას, სადაც გვექნება მოლაპარაკებები. მაშინ გამოჩნდება, რამდენად შესაძლებელია ბუნებრივი აირის წამოღება, — განაცხადა კალაძემ.

**ბიპიენი**

# ჯემალ გამახარია: „არა მგონია, კრემლს ხაჯიმბა განწირული ჰყავდეს“

## „ჰააგის პროკურორმა კოდორიდან დევნილების საკითხიც უნდა შეისწავლოს“

გულიკო ბალაძე

**რა საფუძვლები აქვს ბოლო დროს აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს? რა ძალა ებრძვის ხაჯიმბას და რასთან არის დაკავშირებული აფხაზეთის პრეზიდენტის წინააღმდეგ წამოწყებული პროტესტები?**

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ გამახარია ამბობს, რომ აფხაზეთში ვითარება კიდევ უფრო გართულდება, ყველაფერი ისეთი მცირე გამოსვლებით არ დასრულდება, რასაც ახლახან ჰქონდა ადგილი.

***– ბატონო ჯემალ, აფხაზეთში ხაჯიმბას გადადგომას მოითხოვენ. ის კი ამბობს, 2019 წლამდე არ წავალო. რას უკავშირდება ხაჯიმბას წინააღმდეგ გამოსვლები?***

– ეს არის პროცესი, რომელიც მხოლოდ ახლა იწყება.

***– ვითარების გამწვავებას უნდა ველოდოთ?***

– აუცილებლად იქნება უფრო მწვავე მოვლენები.

***– ეს პროტესტი სათავეს სად იღებს?***

– აფხაზეთში კრემლის ჩარევის გარეშე, ფაქტობრივად, არაფერი ხდება, მაგრამ არა მგონია, კრემლს ხაჯიმბა განწირული ჰყავდეს. ჯერჯერობით, ხაჯიმბა განწირული არ არის, ყოველ შემთხვევაში, კრემლის მიერ, მაგრამ პროტესტი გრძელდება.

მრავალრიცხოვანი ყრილობა ჩატარდა. რამდენიმე ათასი კაცი ესწრებოდა. მოთხოვნები რადიკალური იყო. მოთხოვნები, პროტესტი და დაპირისპირება შემდგომშიც არ შეწყვეტილა. ინფორმაცია გვაქვს, რომ პროტესტი გრძელდება.

***– კრემლს ხაჯიმბაზე ზეწოლა რაში დასჭირდა?***

– ხაჯიმბაზე ზეწოლას კრემლი გააგრძელებს იმის გამო, რომ რუსები აფხაზებს დაპირებულ თანხებს ვერ აძლევენ. ბევრ რაღაცას შეჰპირდნენ, მაგრამ არაფერი გაუკეთებიათ. ამის გამო ხაჯიმბამ გული რომ არ აიცრუოს, მუდმივი ზეწოლის ქვეშ უნდა ჰყავდეთ.

***– აფხაზეთში შიდა დაპირისპირებები არ არის?***

– რა თქმა უნდა, შიდა დაპირისპირებებიც არის, ხელისუფლებისთვის ბრძოლაც. რუსეთი სწორედ ამას იყენებს.

– ცოტა ხნის წინ ხაჯიმბამ განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილს სურდა გარკვეული ქონების შეძენა აფხაზეთში. თუმცა, ბიძინა ივანიშვილის მხრიდან ეს უარყოფილი იქნა.

***– ხაჯიმბას ეს განცხადება და ქონებების გადანაწილება ხომ არ გახდა ხაჯიმბას წინააღმდეგ წამოწყებული პროტესტის მიზეზი?***

– ხელისუფლებისთვის ბრძოლისა და ქონების გადანაწილების ფაქტორი ამ შემთხვევაში მოქმედებს. ის, რაც ითქვა ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებით, სიმართლეს არ შეესაბამება, მაგრამ იქ არის ერთი მომენტი – რუსულ-აფხაზურმა კომისიამ დაადგინა, რომ რუსეთის მოქალაქე ქართველს, რომელიც წარმოშობით აფხაზეთიდანაა, აფხაზეთში აქვს ქონება, ანუ აფხაზეთიდან დევნილია, უფლება არ აქვს, განაცხადოს პრეტენზია არსებულ ქონებაზე.

***– რატომ კრძალავენ, რის ეშინიათ?***

– რუსებს და აფხაზებს ეშინიათ, რუსეთის მოქალაქე ქართველები აფხაზეთში რაღაც ქონებას შეიძენენ, იყიდიან აფხაზეთს და ა.შ. ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული ის, რაც ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებით იყო გაცხადებული.

***– რადგან ხაჯიმბა ბიძინა ივანიშვილის ინტერესზე მტკიცებით ფორმაში ლაპარაკობდა, თვითონ ხაჯიმბასა და მის ჯგუფს ხომ არ სურდათ, ბიძინა ივანიშვილს აფხაზეთში ქონება მართლა შეეძინა?***

– ძნელი სათქმელია. ამას ვერც დაგიდასტურებთ და ვერც უარვყოფ. თუმცა, თუ ეს მათი სურვილი იყო, მაშინ რა ინტერესი და მიზანი ჰქონდათ? ეს უფრო მოწინააღმდეგის დასაშინებლად იყო წამოსროლილი, ვიდრე, ვთქვათ, სურვილის გაჟღერება.

* * *

ბოლო დროს აფხაზეთში გააქტიურდა ორგანიზაცია ამცახარა.

ის აფხაზეთის ომის შემდეგ დაარსდა და მასში ძირითადად აფხაზეთის ომის ვეტერანები არიან გაერთიანებული. ამცახარა ანქვაბის მხარდამჭერი პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც ხაჯიმბას წინააღმდეგ პროტესტს სათავეში უდგას. თვითონ ანქვაბი კი, როგორც ამბობენ, მოსკოვში იმყოფება.

ჯემალ გამახარიას თქმით, ამცახარას მიზანი ხელისუფლებისთვის ბრძოლაა.

– ამცახარა ამბობს, რომ ანქვაბის ხელისუფლება ძალადობრივად დაამხეს, რომ ანქვაბმა ნებაყოფლობით დათმო ხელისუფლება იმ იმედით, რომ აფხაზეთში საქმე უკეთესობისკენ წავიდოდა. ახლა ამცახარა ამტკიცებს, რომ ვითარება გაუარესდა, ამიტომ ხაჯიმბა უნდა წავიდეს.

***– ანქვაბის ორგანიზაცია აფხაზეთში აქტიურობს, თვითონ მოსკოვშია. ეს რას ნიშნავს?***

– თავიდანვე ანქვაბი მოსკოვში წავიდა.

***– თუ რუსებმა წაიყვანეს?***

– ვინც მოდის და მიდის ხელისუფლებაში, უკლებლივ ყველა კრემლის ხელდასმულია. ამიტომ, ვინც მიდის ხელისუფლებიდან, მოსკოვში მიემგზავრება. ვინც მოდის, დროებით მოდის. რუსეთს არ აწყობს დალაგებული და აყვავებული აფხაზეთი. როდესაც წინააღმდეგობები იქმნება, რუსეთს შუაში ჩადგომისა და სიტუაციის დარეგულირების საშუალება ეძლევა.



***– ანქვაბს ხელისუფლებაში დაბრუნების შანსი აქვს?***

– არ ვიცი.

* * *

ჯემალ გამახარია აცხადებს, რომ ჰააგის სასამართლომ აფხაზეთიდან, კოდორის ხეობიდან ქართველების გამოდევნაც უნდა გამოიძიოს.

***– ამას წინათ საქართველოში ჰააგის პროკურორი ჩამოვიდა, რომელიც ცხინვალის რეგიონიდან ქართველთა ეთნოწმენდის ფაქტებს იძიებს. რა ხდება აფხაზეთის მიმართულებით?***

– ჰააგის პროკურორი იძიებს 2008 წლის მოვლენებს, რომელიც ეხება არა მხოლოდ ცხინვალის რეგიონს, არამედ კოდორის ხეობასაც.

***– თუმცა, ჰააგის პროკურორის ვიზიტის დროს, კოდორის ხეობაზე საუბარი არ ყოფილა.***

– ჩვენი იუსტიციის დეპარტამენტი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართავს, რომ გამოძიებული იქნას კოდორის მოვლენებიც. ჩვენ ვმუშაობთ იმაზე, რომ განხილვის საგნად აუცილებლად იქცეს კოდორის ხეობიდან ქართველების გამოდევნის ფაქტი.

2008 წელს კოდორში განვითარებული მოვლენები აბსოლუტურად ექცევა იმ ჩარჩოებში, რაც ჰააგის პროკურორმა ფატუ ბენსუდამ ბრძანა. 2008 წელს კოდორის ხეობაში მოხდა ქართველების ეთნოწმენდა.

აქ არის კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი – კოდორის ხეობიდან გამოძევებული 2.000-ზე მეტი ადამიანიდან 300-ზე მეტი ორმაგი დევნილია.

***– როგორ?***

– ადამიანები 1992-93 წლებში სოხუმიდან, გულრიფშიდან, გაგრიდან, გუდაუთიდან გამოაძევეს. თუმცა, ისინი კოდორის ხეობაში, ანუ იგივე აფხაზეთში დარჩნენ, აფხაზეთის ტერიტორიიდან არ წამოსულან, მაგრამ შემდეგ კოდორიდანაც გამოაძევეს. ეს ორმაგი დევნილები ადამიანების განსაკუთრებულ კატეგორიას მიეკუთვნებიან. გვინდა, ეს საკითხი ჰააგის პროკურატურამ განიხილოს.

***– რამდენადაც ვიცი, ჰააგის პროკურორს საქართველოში ოფისი აქვს და, მგონი, მას უნდა მიმართონ იმ პიროვნებებმა, რომლებიც დევნილებად იქცნენ.***

– ეს ადამიანები უკვე ორგანიზებულები არიან, რომ მათი საკითხი ყურადღების ქვეშ მოექცეს.

***– ჰააგის პროკურორის დაინტერესება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ჰააგაში 2008 წლიდან ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები აგზავნიდნენ ინფორმაციებს ცხინვალის რეგიონში მომხდარი ეთნოწმენდისა და სხვა დანაშაულობების შესახებ. თქვენი მხრიდან თუ გაიგზავნა საჩივრები?***

– არასამთავრობოების მიერ შეგროვებულ მასალას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეთნოწმენდაზე სარჩელი სახელმწიფოს მიერაც იყო შეტანილი. ეს ყველაფერი ერთმანეთს ემატება.

იმედი მაქვს, საქართველოში ჩამოვლენ პროკურორები და ჩვენ გვექნება საშუალება, დამატებითი ინფორმაცია მოვაწოდოთ კოდორის ხეობაში ჩატარებული ეთნიკური წმენდისა და ორმაგი დევნილების შესახებ.

# ნოტარიუსი მალე საქართველოს ყველა რაიონს ეყოლება

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა გამოაცხადა. ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა ნოტარიუსის თანამდებობის დაკავების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ნოტარიუსად დანიშვნის მსურველებს შანსი აქვთ, საკუთარ ქვეყანას იმ დასახლებაში ემსახურონ, სადაც მოსახლეობას მათი დახმარება სჭირდება.

ნოტარიუსად დანიშვნის პირობებსა და ახალ წესზე გვესაუბრება ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარე ნინო ხოფერია.

***როდის ჩატარდება საკვალიფიკაციო გამოცდა და ვის აქვს მასში მონაწილეობის უფლება?***

ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩატარდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრში, ორ ეტაპად: 13-14 ნოემბერს დანიშნულია ტესტირება ზოგად უნარ-ჩვევებში, ხოლო 20-21 ნოემბერს – ტესტირება პროფესიულ ნაწილში. გამოცდის ჩაბარების მსურველთა საბუთების მიღება დაიწყო 12 ოქტომბრიდან და გაგრძელდება 8 ნოემბრამდე.

ნოტარიუსთა საკვალფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლება აქვს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეს, საკმარისია ბაკალავრის დიპლომიც. ასე რომ, იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტებს გამოცდის ჩაბარება შეუძლიათ.

***ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება საკმარისია ნოტარიუსის თანამდებობის დასაკავებლად?***

არა, იმისთვის, რომ ნოტარიუსად დაინიშნოთ, გამოცდის ჩაბარებასთან ერთად, საჭიროა ნოტარიუსთა პალატის სასწავლო ცენტრში სტაჟირების გავლა. სტაჟირების გავლისგან თავისუფლდება პირი, რომელსაც აქვს სახელმწიფო სამსახურში იურისტად მუშობის 5 წლის სტაჟი.

მალე ჩატარდება სტაჟირების კონკურსიც ნოტარიუსთა პალატის სასწავლო ცენტრში. სტაჟირება რვათვიანია და მისი დასრულების შემდეგ სტაჟიორი საფუძვლიანად ფლობს სანოტარო საქმიანობისთვის აუცილებელ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

***რა პრინციპით მოხდება შემდგომ მათი ნოტარიუსებად დანიშვნა?***

იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული „ნოტარიატის შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტის თანახმად, ყველა ახლად დანიშნული ნოტარიუსი, პირველი სამი წლის განმავლობაში, საქმიანობას განახორციელებს მაღალმთიან დასახლებაში ან ისეთ მუნიციპალიტეტში, სადაც სანოტარო სერვისი სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის. აღნიშნული კანონპროექტი მთავრობის სხდომაზე უკვე დაამტკიცდა და ამჟამად მას პარლამენტი იხილავს.

***რატომ გახდა საჭირო კანონში ამ ცვლილების შეტანა?***

საქართველოში ჯერ კიდევ ბევრი მუნიციპალიტეტია, სადაც წლებია, სანოტარო ბიურო არ მოქმედებს, ან სანოტარო მომსახურება სათანადად არ არის ხელმისაწვდომი.

იუსტიციის მინისტრმა 2013-2014 წლებში ნოტარიუსები დანიშნა არაერთ ისეთ მუნიციპალიტეტში, სადაც მანამდე ნოტარიუსი არ იყო, თუმცა, მაშინ ნოტარიუსების დანიშვნა ზეპირი შეთანხმების საფუძველზე მოხდა და ზოგიერთმა ნოტარიუსმა საქმიანობის გაგრძელება თბილისში არჩია. კანონპროექტი აღნიშნულ პრობლემას გადაჭრის და ნოტარიუსები სამი წლის განმავლობაში მოემსახურებიან საკუთარ ხალხს ისეთ დასახლებებში, სადაც მოსახლეობას მათი დახმარება სჭირდება. სამი წლის შემდეგ მათ უკვე შეეძლებათ, საქმიანობა მათთვის სასურველ ქალაქსა თუ მუნიციპალიტეტში გააგრძელონ.

უნდა აღვნიშნო, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ ნოტარიატში დაწყებული რეფორმა ნოტარიუსთა საერთაშორისო კავშირის ნოტარიატის საერთაშორისო თანამშრომლობის კომისიის პრეზიდენტმა მიშელ მერლოტმა პოზიტიურად შეაფასა და დაახასიათა, როგორც ლათინური ნოტარიატის პრინციპებთან დაახლოების კიდევ ერთი ნაბიჯი.

***კანონდებლობა ამ ნოტარიუსებისთვის დახმარებას თუ ითვალისწინებს?***

რა თქმა უნდა, კანონით შემოვა ვალდებულება, რომ ნოტარიუსთა პალატამ ახლად დანიშნულ ნოტარიუსებს ამ სამი წლის განმავლობაში ფინანსური დახმარება გაუწიოს. ეს იქნება სანოტარო ბიუროსა თუ საცხოვრებელი ბინის ქირა, ბიუროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა თუ სხვა ფინანსური დახმარება, რომელიც, საგადასახადო კოდექსის თანახმად, გადასახადისგან გათავისუფლდება.

ასევე, ნოტარიუსობის კანდიდატს, რომელიც დაინიშნება მაღალმთიან, ან ისეთ დასახლებაში, სადაც სანოტარო მომსახურება ხელმისაწვდომი არ არის, საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობისთვის გადახდილ საფასურს აუნაზღაურებს ნოტარიუსთა პალატა.

# შსს-მ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპატამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1982 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ზაზა გ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას, 7 შეკვრად დაფასოებული, 3,49002 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით ჰეროინს შეიცავს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო




# კარსონმა ტრამპს გადაუსწრო

ამერიკელ რესპუბლიკელებს შორის პრეზიდენტობის კანდიდატობისათვის ბრძოლა გრძელდება.

თანახმად ნიუ-იორკ ტაიმსის მიერ ჩატარებული გამოკითხვებისა, სამშენებლო მაგნატმა დონალდ ტრამპმა ლიდერობა დაკარგა. ამჟამად ტრამპის რეიტინგი 21 პროცენტია. მისი უახლოესი მდევრის კარსონისა კი – 22,4 პროცენტი.

# ბრიონერი: ასეთ რუსეთს მომავალი არ აქვს




გერმანელი ექსპერტის, ბრიონერის აზრით, უკანასკნელ ათწლეულის მანძილზე რუსეთის ეკონომიკა არ ყოფილა ისეთ მძიმე მდგომარეობაში, როგორც დღეს.

კრიზისი დღითიდღე მძაფრდება.

– თუკი ასე გაგრძელდა, კატასტროფა გარდაუვალია, – თვლის გერმანელი ექსპერტი.

ამავე დროს ბრიონერმა ევროპას მოუწოდა, რუსეთთან ურთიერთობებს გადახედოს. მისი აზრით, აუცილებელია აიძულონ რუსეთი, რომ აგრესიულ საგარეო პოლიტიკაზე უარი თქვას.

როგორც კი ეს მოხდება, არა მარტო სანქციები გაუქმდება, არამედ ხელსაყრელი წინადადებებიც წამოვა.

–კრემლმა უნდა იცოდეს, რომ ისეთ რუსეთს, რომელიც მეზობლებზე ზეწოლას ახდენს, მომავალი არ აქვს! – თქვა ბრიონერმა.

# შეხვედრა მინსკში



მინსკში დონბასის კონფლიქტის მომგვარებელი საკონტაქტო ჯგუფის მორიგი შეხვედრა გაიმართა.

უკრაინის წარმომადგენელმა რომან ბესმერტნიმ წამოაყენა პირობები, რომელთა შესრულების შემდეგაც შესაძლებელი გახდება სეპარატისტი მებრძოლების რეაბილიტაცია.

– უწინარეს ყოვლისა, დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკების წარმომადგენლებმა ადრე გაკეთებული განცხადებების დეზავუირება უნდა მოახდინონ, რაც ამ ე.წ. რესპუბლიკების შექმნასა და უკრაინის შემადგენლობიდან გასვლას გულისხმობს, – თქვა ბესმერტნიმ.

ამას გარდა, უკრაინულმა მხარემ მოითხოვა, რომ დონბასის ოკუპირებულ ტერიტორიაზე უზრუნველყოფილ იქნას როგორც უკრაინული მედიის, ასევე პოლიტიკური პარტიების საქმიანობა, ბოლო მოეღოს ტერორსა და ძალადობას.

– სხვაგვარად არჩევნები ვერ ჩატარდება, – თქვა ბესმერტნიმ.

პრეზიდენტმა პოროშენკომ თავის მხრივ განაცხადა, რომ მინსკში მოხდა ახალი უკრაინული საარჩევნო კანონის პრეზენტაცია, რომლის მიხედვითაც დონბასში არჩევნები უნდა ჩატარდეს.

– სეპარატისტები ყოველმხრივ ცდილობენ, რომ ჩვენი წინადადებები დაბლოკონ, – ამბობს პოროშენკო.

# სასამართლომ ბუტის საქმის გადასინჯვაზე უარი თქვა



აშშ-ს სასამართლომ უარი განაცხადა რუსი ბიზნესმენის ვიქტორ ბუტის საქმის გადასინჯვაზე.

მას ბრალად ედება იარაღით უკანონო ვაჭრობა. 2011 წელს ამერიკულმა სასამართლომ ბუტს 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

რუსი ბიზნესმენის ადვოკატები განაჩენის გადასინჯვას მოითხოვდნენ, მაგრამ ამაოდ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# აშშ სირიაში სპეცრაზმის გაგზავნას აპირებს




სირიაში ომის ხანძარი სულ უფრი ძლიერდება. ასადის არმიამ კვლავ სცადა ალეპოსთან ალყაში მოხვედრილი თანამოძმეების გამოხსნა. მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. ასადელებმა ამჯერადაც დიდი დანაკარგი განიცადეს.

ასადის არმიაში იმყოფებოდნენ ირანელები, ჰესბოლას მებრძოლები და რუსები.

კრემლმა რუსების ყოფნა ჩვეული კატეგორიულობით უარყო. ასევე უარყოფილ იქნა ინფორმაცია რუსი საზღვაოქვეითების დაღუპვის შესახებ. იმავდროულად, რუსულმა ავიაციამ ალეპოზე დარტყმები გააძლიერა. თანახმად რუსული ტელევიზიის ინფორმაციისა, მოხერხდა იმ გზის გათავისუფლება, რომლითაც ალეპოში მებრძოლი ჯარისკაცების მომარაგება ხორციელდებოდა. ამის შემდეგ ასადის არმიამ შეტევაზე გადასვლა კვლავ სცადა. ეს ამჯერადაც წარუმატებლად დამთავრდა. ასადის მხედრობამ კვლავ ზარალი განიცადა.

– მოკლულთა შორის რუსებიც არიან, – იტყობინება 112-ე არხი.

რუსმა აქტივისტმა რუსლან ლევიევმა დაადასტურა, რომ მოკლულთა შორის რუსებიც იყვნენ. მან დაასახელა ერთერთის ვინაობა. მისი გვარი ჯერჯერობით არ ხმაურდება, ნათქვამია მხოლოდ, რომ სირიაში დაღუპული რუსი ჯარისკაცი 1997 წელს დაიბადა, არმიაში კი კონტრაქტით მსახურობდა.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ მისი სიკვდილის ფაქტი ოფიციალურად დაადასტურა, თუმცა კატეგორიულად უარყო, რომ ეს საბრძოლო მოქმედებებისას მოხდა.

– ხსენებულ ჯარისკაცს პირადი პრობლემები ჰქონდა. ის მეგობარმა გოგონამ მიატოვა და მანაც თავი მოკლა, – ნათქვამია რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში.

ამავე დროს, რუსების მოქმედება სირიაში მზარდ უკმაყოფილებას იწვევს. სირიელ ექსტრემისტებთან ბრძოლაში შედეგი ნულოვანია. სამაგიეროდ, განადგურებულია სოფლები და ქალაქები. დაღუპულთა შორის მშვიდობიანი მოსახლეობა, მოხუცები, ქალები და ბავშვები სჭარბობენ. როგორც ამერიკელი, ასევე სირიელი და ევროპელი ექსპერტები ერთხმად ადასტურებენ, რომ რუსები უფრო მეტად ზომიერი სირიელი პარტიზანების პოზიციებს ბომბავენ.

– რუსებს სურთ, ასადის ზომიერი ოპოზიცია გაანადგურონ, რათა ამის შემდეგ მსოფლიო დააყენონ ალტერნატივის წინაშე: ან ასადი, ან ისლამისტი ტერორისტები, – ფიქრობენ ექსპერტები.

გაზეთ ვაშინგტონ პოსტის ცნობით, ობამას მრჩეველმა უსაფრთხოების დარგში მოუწოდა პრეზიდენტს, რათა სირიაში ამერიკული სპეცრაზმი გაგზავნოს. მისი ამოცანა იქნება როგორც ზომიერი სირიული ოპოზიციის, ასევე მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა. საუბარია როგორც სპეციალური დანიშნულების ნაწილების, ასევე ამერიკელი მრჩეველების განთავსებაზე სირიასა და ერაყში.

შემდეგ ამერიკელები ისლამისტების წინააღმდეგ სახმელეთო ოპერაციას დაიწყებენ. მიზანი ისლამისტების ფაქტობრივი დედაქალაქის, რაკქას დაკავება იქნება.

თუკი ამის განხორციელება მოხერხდა, ისლამისტები სირიაში უდიდეს ზარალს ნახავენ. პარალელურად ჩაიშლება პუტინის გეგმები ასადის ხელისუფლებაში დატოვების თაობაზე.

*დღეს მედიცინა ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივ პროდუქტებზე დამზადებულ წამლებს ანიჭებს უპირატესობას. საქართველოში ამ მხრივ ერთ-ერთი გამორჩეულია თოდუების საგვარეულო წამლები და მალამოები.*

*თოდუების გვარის წარმომადგენელია ლამარა თოდუა, რომელიც წარმატებით მიჰყვება თავის საქმიანობას. ამაზე მეტყველებს მადლიანი პაციენტების უამრავი ჩანაწერი.*

*ლამარა თოდუა აცხადებს, რომ მის საგვარეულო წამლებს უკუჩვენება არ აქვს.*

**ლამარა თოდუა:**

**● ვკურნავ ნაწოლებს ყოველგვარი ნაწიბურის გარეშე. მცენარეული ნაყენებით გაგიწმენდთ ორგანიზმს. ახალნამშობიარებ დედებს თუ მკერდი გაუმაგრდათ, ჩემი მალამოებით შვებას იგრძნობენ, სადინარები გაეხსნებათ და არანაირი მასაჟის ჩატარება საჭირო აღარ არის.**

**● ვარჩენ „პრიშჩიკებს“, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, ჩირქოვან სოკოვანებს, გასქელებულ ფრჩხილებს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ჰაიმორიტისგან განიკურნებით 10 დღეში. ვაშორებ ქერტლს, გამონაყარს, ვაჩერებ თმის ცვენას.**

**● ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ თმის ჩაბრუნებას, რომელიც სრულად იკურნება.**

● ● ●

**ლამარა თოდუა პროფესიით კოსმეტოლოგია, ამიტომ გთავაზობთ კანის გაწმენდას ძველი და ახალი მეთოდებით, სამკურნალო ნიღბებით, რაც სახის კანის გაღიზიანებას არ იწვევს. მის მიერ დამზადებული მკვებავი, დამცავი კრემები და ლოსიონები მხოლოდ მცენარეული და ბუნებრივი მასალაა.**

**მის.: ოთარ ჭილაძის ქ. №166; №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან; ტელ.: 230-62-52; 599-16-10-82**

# განცხადებები

## ვასწავლი

● პროფესიონალი გიტარისტი და მომღერალი შევასწავლი გიტარაზე და ფანდურზე დაკვრას და სიმღერას ხმის დამუშავებით (მათ შორის, დაბალი სმენითი მონაცემების მსურველებსაც – რეალური შედეგით), კარგი მონაცემების შემთხვევაში საინტერესო პერსპექტივით სცენასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს შევსება, ასაკი შეუზღუდავია. ტელ: 599-72-00-42; 558-35-39-60; 279-07-72.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

## მკურნალობა

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სათესლე ჯირკვლების ანთებას, ასოს, შარდსადინარის, პროსტატის ყველა სახის დაავადებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს ინტიმური ურთიერთობების მოსაწესრიგებელი უვნებელი „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● სმენის აღდგენა სწრაფად, წამლების, აპარატურისა და ოპერაციის გარეშე, გამომწვევი მიზეზისა და ასაკის მიუხედავად. პაციენტები მიიღებიან მხოლოდ წინასწარი ჩაწერით. ფასი 300 ლარი. მის: დიდი დიღომი, III მ/რ, კორპუსი 20. ტელ: 599-97-85-46 ლევანი.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატესის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მაღალკვალიფიციური ონკო-დერმატოლოგი უოპერაციოდ, წარმატებით მკურნალობს: ბაზალიომას, კერატომას, ჰიპერკერატოზს, მელანომას, გრანულომას, პაპილომას, ათერომას, კონდილომას, ჰემანგიომას, ხალებს, რთულ მეჭეჭებს, კოჟრებს (მაზოლებს), ქუთუთოებში ქოლესტერინის დაგროვებას, წანაზარდებს სასქესო ორგანოებზე და ყოველგვარ მსგავს ხორცმეტებს. გირჩევთ დროზე მოიშოროთ საშიში წარმონაქმნები! მის: რევაზ ლაღიძის 8 (ოპერის უკან), კლინიკა „მედიკომი“, კაბ. 322, მობ: 599-90-91-74.

## იყიდება

● ან გირავდება ბინა 3 ოთახი დიღმის მასივში, 87 კვადრატული მეტრი. ძველი რემონტით, გეპეის კორპუსში, ან მთლიანად 186 კვადრატული მეტრი. ტელ: 568-00-22-20 თამარი.

## ნათელმხილველი

● ნათელმხილველი დარეჯანი ისრაელში მუშაობის შემდეგ მიღებას აგრძელებს თბილისში. მიღება წინასწარი ჩაწერით. აქვე მოიხსნით მრავალი სახის პრობლემას. ტელ: 555-75-90-62.

# ბრეგვაძე კარიერას ინგლისში გააგრძელებს



ბრეგვაძემ შეიტანა, რომელმაც ინგლისის ავივა ფრემიერშიფის კლუბ ვუსთერ ვორიორზსთან გააფორმა კონტრაქტი. ბრეგვაძეს 32 სანაკრებო კეპი აქვს მოხვეჭილი და ორ მსოფლიო თასზე აქვს ნათამაშევი.

მეომრები ფრემიერშიპის 2015-16 წლის სეზონში 2 მატჩიდან 4 ქულით მე-10 ადგილზე იმყოფებიან. ამის გარდა ვორიორზი ასევე მონაწილეობს ჩელენჯ ქაპზე, სადაც ინგლისურ გლოსთერთან, ფრანგულ ლაროშელთან და იტალიურ ზებრესთან ერთად მე-4 პულშია განთესილი.

ვორიორზში ბრეგვაძე ქართველთაგან მარტო არ იქნება, რადგან კლუბში ასევე თამაშობს ვატო რაფავა, რომელიც საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრის, გია რაფავას ვაჟია.

აქამდე ბრეგვაძე ტულუზაში თამაშობდა, მაგრამ ფეხის ტრავმის გამო საკმაოდ დიდი ხნით გამოაკლდა კლუბს და ნაკრებს. საბედნიეროდ 2015 წლის მსოფლიო თასამდე მან ტრავმა სრულიად მოიშუშა და ნაკრებთან ერთად ყველა შეკრება გაიარა და მსოფლიო თასზეც იასპარეზა.

მსოფლიო თასი სადაცაა ზელანდიისა და ავსტრალიის ფინალური რკენით 31 ოქტომბერს დასრულდება. ბორჯღალოსნებმა კი თავიანთ მიზანს ჯგუფურ ეტაპზე მიაღწიეს – ორი მატჩის მოგებით 2019 წლის მსოფლიო თასზე გავიდნენ.

ამ გამარჯვებებში თავისი დიდი წვლილი ბორჯღალოსანმა ჯაბა

# ოლიმპმა გადადებული მატჩი მოიგო

**აკადემია – ოლიმპი 62:93**
(5:20; 9:33; 18:17; 30:23)

სუპერლიგის პირველი ტურის გადადებულ მატჩში აკადემიამ, რომელსაც ბოლო წამს ერგო სუპერლიგის საგზური, ვერაფერი გააწყო ოლიმპთან და დიდი ანგარიშით დამარცხდა.

გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა გუნდმა აკადემიელებს ისე მოუგო, შანსი არ დაუტოვა. მეორე მეოთხედის დასრულებამდე 3 წუთით ადრე აკადემიას მხოლოდ 7 ქულა ჰქონდა ჩაგდებული ოლიმპელების 44-ის საპირისპიროდ. შესაბამისად, მატჩის ბედი პირველივე ტაიმში გარკვეული იყო.

აკადემიელებს უკრაინელი ახალწვეული ჰყავთ – ვლადიმერ კრისევიჩი, რომელმაც შესაძლოა მომავალ მატჩებში კარგად ითამაშოს, თუმცა ოლიმპის ცენტრ მილან ოლუიჩთან ბრძოლაში ვერაფერი გააწყო, ისევე როგორც სხვა დანარჩენმა აკადემიელებმა მეტოქესთან. ოლიმპელები მობილიზებით, დალაგებულად და შედეგიანად თამაშობდნენ და იმ ორმოცქულიანი უპირატესობის შესანარჩუნებლად, რომელიც მესამე მეოთხედში მოიპოვეს, ბოლო პერიოდში თავი დიდად არ შეუწუხებიათ. საბოლოოდ კაზანჯიანის გუნდის 31-ქულიანი გამარჯვება – 93:62.

ოლიმპმა სუპერლიგის მიმდინარე გათამაშებაში პირველი გამარჯვება მოიპოვა. აკადემია კი ერთადერთი გუნდია, რომელსაც მოგება არ გააჩნია.



**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.სოხუმი | 2 | 2 | 0147:113 | 4 |
| 2.ქუთაისი | 2 | 1 | 1170:151 | 3 |
| 3.ოლიმპი | 2 | 1 | 1146:129 | 3 |
| 4.რუსთავი | 2 | 1 | 1148:145 | 3 |
| 5.დინამო | 2 | 1 | 1145:151 | 3 |
| 6.მგზავრები | 2 | 1 | 1147:154 | 3 |
| 7.ბათუმი | 2 | 1 | 1142:150 | 3 |
| 8.აკადემია | 2 | 0 | 2136:188 | 2 |

# ბოლო მეოთხედფინალისტი ჩიხურაა

**ჩიხურა-საპოვნელა 0:0**

**პირველი მატჩი 2:0**

**ივანწმინდა.** ცენტრალური საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის მერვედფინალური ეტაპის ბოლო მატჩი ივანწმინდაში გაიმართა, სადაც ერთმანეთს იმერული კლუბები შეხვდნენ.

პირველი მატჩი ჩიხურას სტუმრად კომფორტული ანგარიშით ჰქონდა მოგებული, ამიტომ გუშინ თავი აღარც მოუკლავთ, საპასუხოდ ვერც თერჯოლელებმა დაუპირისპირეს რამე და გუნდები ერთმანეთს უგოლოდ დაშორდნენ.

მაშ ასე, მეოთხედფინალში გავიდნენ: დინამო (თბ), სამტრედია, ტორპედო, ვიტ ჯორჯია, ზუგდიდი, შუქურა, სიონი და ჩიხურა.

მეოთხედფინალური ეტაპის პირველი მატჩები 2-3 დეკემბერს გაიმართება, ხოლო საპასუხო მატჩები – 15-16 დეკემბერს და გუნდები მომავალ წლამდე დაისვენებენ.

თუ როგორ დაწყვილდებიან გუნდები მეოთხედფინალში, ამას ფეხბურთის ფედერაცია უახლოეს დღეებში გადაწყვეტს წილისყრისას.

# ქალმა ფეხბურთელებმა შვეიცარიასთან 0:4 წააგეს

საქართველოს ქალ ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა ევრო 2017-ის შესარჩევ ციკლში მეოთხე მატჩი გამართა, ქართველები გასვლით შეხვედრაში შვეიცარიელებთან დამარცხდნენ.

გუნდი შვეიცარიაში დანაკლისით ჩავიდა: სავიზო პრობლემების გამო გუნდს ბოლო მომენტში გამოაკლდნენ თეონა სუხიშვილი და ნინო ჩხარტიშვილი. პლუს დისკვალიფიცირებული ტატა მატველევა და ტრავმირებული გულნარა გაბელია გუნდს შვეიცარიაში არ გაჰყოლიან.

თამაზ კოსტავას გუნდმა შესვენებამდეც და შესვენების შემდეგაც ორი გოლი გაუშვა, 78-ე წუთიდან კი ერთი ფეხბურთელი გამოაკლდათ – ხატია ჭყონიამ წითელი ბარათი მიიღო.

მატჩი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით 4:0 დასრულდა. შვეიცარიელებმა ორივე ტაიმში ორორი ბურთი გაუტანეს ჩვენს გოგონებს. მე-9 წუთზე ნათია სხირტლაძემ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი, 34-ე წუთზე კი კრნოგორჩევიჩმა ორამდე გაზარდა ანგარიში. თამარ ნადირაშვილის კარში მესამე გოლი 50-ე წუთზე გავიდა – ამჯერად ლარა დიკენმანმა გაიტანა, ხოლო მატჩის საბოლოო ანგარიში ცვლილებაზე შემოსულმა ჰამმა დააფიქსირა.

კოსტავას გუნდი შემდეგ მატჩში ჩეხეთის ნაკრებს სტუმრად დაუპირისპირდება. შეხვედრა 12 აპრილს გაიმართება.

შვეიცარიელებთან საქართველოს ქალთა ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ნადირაშვილი, ტატუაშვილი, სხირტლაძე(დუმბაძე 76), სუთიძე, პასიკაშვილი, კოჭლამაზაშვილი, თოდაძე, ჭიჭინაძე, ჭყონია, ჩემინავა(კვალიაშვილი 90), დანელია(ზაქაიძე 67).

# ახალგაზრდა ძიუდოისტები ფინალში დამარცხდნენ

არაბეთის გაერთიანებული საემიროების დედაქალაქ აბუ დაბიში დასრულებულ მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ძიუდოში, საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა გუნდურ ტურნირში ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ქართველმა ძიუდოისტებმა ფინალური დაპირისპირება იაპონიის ახალგაზრდულ ნაკრებთან 0:5 დათმეს. გადამწყვეტ შეხვედრაში ტრავმის მიზეზით ვერ იჭიდავეს ნაკრების ლიდერებმა ბექა ღვინიაშვილმა და გურამ თუშიშვილმა, რომელთა არყოფნა ოქროს მედლისათვის დაპირისპირებაში გუნდს განსაკუთრებულად დაეტყო.

ფინალამდე საქართველოს ნაკრებმა ნახევარფინალში ეგვიპტე, ხოლო მეოთხედფინალში ბელარუსი დაამარცხა. გუნდურ მსოფლიო ჩემპიონატში სულ 14 ქვეყანა იღებდა მონაწილეობას.

ჯამში, მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე საქართველოს ძიუდოს ნაკრების წევრების მონაგარი 1 ოქროს, 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალია.

ინდივიდუალურ ჩათვლაში მსოფლიოს ჩემპიონი ბექა ღვინიაშვილი (90 კგ) გახდა, ვერცხლის პრიზიორები თამაზ კირაკოზაშვილი (73 კგ) და მარიამ ჯანაშვილი (52 კგ) გახდნენ, ბრინჯაო კი ირაკლი კუპატაძემ (55 კგ) მოიპოვა.

# მოუ და რონი ერთად პსჟ-ში



ესპანური მედიის ინფორმაციით, ლონდონის ჩელსი სულ მალე ახალ მწვრთნელს წარადგენს, ხოლო მისი ამჟამინდელი თავკაცი ჟოზე მოურინიო კი სამუშაოდ საფრანგეთის დედაქალაქში წავა და პსჟ-ს ჩაიბარებს.

როგორც ესპანური მედია წერს, პარიზელები ჟოზეს კრიშტიანო რონალდუს შეძენას ჰპირდებიან. ფეხბურთის პორტუგალიელი სპეციალისტი კი თვლის, რომ კავანი, იბრაჰიმოვიჩი და რონალდუ დამანგრეველ ტრიოს შექმნიან, რომლებიც ნებისმიერი მეტოქის დაცვის გარღვევას შეძლებენ.

შეგახსენებთ რომ, მოურინიოს რეალში მუშაობის პერიოდში კრიშტიანო ფორმის პიკში იყო, სეზონში მინიმუმ 50 გოლს იტანდა და რეკორდს რეკორდზე ამყარებდა.

პსჟ-ს ხელმძღვანელობა რონალდუსთვის სოლიდურ თანხას გამოყოფს, რომელიც 115-იდან 130 მილიონ ევრომდე მერყეობს. ამასთანავე, საყოველთაოდ ცნობილია, რომ კრიშტიანო ყველა დროის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება.

თავად მოურინიო მიიჩნევს, რომ თანამდებობის შესანარჩუნებლად გარანტიები არ სჭირდება და ფანტასტიკურ სიტუაციაშია. ეს მაშინ, როდესაც მისი გუნდი ინგლისის თასზე დაემშვიდობა ტიტულზე ფიქრს და სტოკთან იწვნია მარცხი.

**ჟოზე მოურინიო:**

– გარანტიები არ მჭირდება. ამჟამად, ფანტასტიკურ სიტუაციაში ვარ. ვისვენებ და დროს ჩემს საუცხოო ოჯახთან ვატარებ. ღამე მშვიდად მძინავს. ხუთშაბათიდან უკვე სიამოვნების მიღებას ვაპირებ. ეს ისეთივე დღე იქნება, როგორიც დანარჩენი ბოლო 15 წლის განმავლობაში – კეთილსინდისიერად და თავდადებით ვიმუშავებ.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**27 ოქტომბერი**

**ინგლისი. თასი**

ევერტონი-ნორვიჩი ............. 1:1(4:3პ)
ჰალი-ლესტერი 1:1 ....................(5:4პ)
უენსდი-არსენალი ......................... 3:0
სტოკი-ჩელსი 1:1 ........................(5:4პ)

**გერმანია. თასი**

აუე-აინტრახტი .............................. 1:0
ფრანკფურტი-ჰერტა 1:2 ............ (დდ)
მაინცი-მიუნხენ 1860 ..................... 1:2
ნიურნბერგი-ფორტუნა ................. 5:1
ბოხუმი-კაიზერი ............................ 1:0
დარმშტადი-ჰანოვერი .................. 2:1
უნტერხახინგი-ლაიპციგი ............. 3:0
ვოლფსბურგი-ბაიერნი .................. 1:3

**იტალია. სერია ა**

ბოლონია-ინტერი ......................... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 10 | 6 | 3 | 1 | 10-7 | 21 |
| 2.რომა | 9 | 6 | 2 | 1 | 22-11 | 20 |
| 3.ნაპოლი | 9 | 5 | 3 | 1 | 19-8 | 18 |
| 4.ფიორენტინა | 9 | 6 | 0 | 3 | 16-8 | 18 |
| 5.ლაციო | 9 | 6 | 0 | 3 | 14-13 | 18 |
| 6.სასუოლო | 9 | 4 | 3 | 2 | 12-10 | 15 |
| 7.სამპდორია | 9 | 4 | 2 | 3 | 17-13 | 14 |
| 8.ტორინო | 9 | 4 | 2 | 3 | 13-12 | 14 |
| 9.ატალანტა | 9 | 4 | 2 | 3 | 11-10 | 14 |
| 10.მილანი | 9 | 4 | 1 | 4 | 11-15 | 13 |
| 11.კიევო | 9 | 3 | 3 | 3 | 13-9 | 12 |
| 12.იუვენტუსი | 9 | 3 | 3 | 3 | 11-8 | 12 |
| 13.პალერმო | 9 | 3 | 2 | 4 | 11-13 | 11 |
| 14.უდინეზე | 9 | 3 | 2 | 4 | 9-11 | 11 |
| 15.ემპოლი | 9 | 3 | 1 | 5 | 10-14 | 10 |
| 16.ჯენოა | 9 | 3 | 1 | 5 | 7-11 | 10 |
| 17.ფროსინონე | 9 | 2 | 1 | 6 | 6-11 | 7 |
| 18.ბოლონია | 10 | 2 | 0 | 8 | 6-15 | 6 |
| 19.ვერონა | 9 | 0 | 5 | 4 | 8-15 | 5 |
| 20.კარპი | 9 | 1 | 2 | 6 | 9-21 | 5 |

**იტალია. სერია ბ**

აველინო-ასკოლი ........................... 3:0
ჩეზენა-კომო .................................. 3:1
კროტონე-ბრეშა ............................. 1:1
ენტელა-ლივორნო ........................ 0:0
ლანჩანო-სალერნიტანა ................ 2:2
ლატინა-ტერნანა ........................... 1:2
მოდენა-სპეცია .............................. 1:1
პერუჯა-კალიარი ........................... 0:0
პრო ვერჩელი-ბარი ....................... 0:1
ტრაპანი-ვიჩენცა ........................... 1:2

**ბელგია. პრო ლიგა**

ლოკერენი-გენტი .......................... 1:2
მუსკრონი-ვერტერლო .................. 2:2
ოსტენდე-გენკი ............................. 3:2

**ჩოგბურთი**

**ვტა. აშემაჯამებელი ტურნირი**

რადვანსკა-პენეტა .................... 6:7;4:6
ჰალეპი-შარაპოვა .................... 4:6;4:6

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# იოსებ სუმბათაშვილის 100 წლის იუბილეს გამოფენა მიეძღვნება



„ქეთო და კოტე“, „მაგდანას ლურჯა“, „ცისკარა“ – ეს იმ ფილმების მცირე ჩამონათვალია, რომელთა დეკორაციებზე ცნობილმა ქართველმა მხატვარმა იოსებ სუმბათაშვილმა იზრუნა.

წელს ცნობილი ქართველი მხატვრის დაბადებიდან 100 წელი სრულდება. ქართველ სეზანად წოდებული ხელოვანის საუკუნოვანი იუბილე გრანდიოზული გამოფენით აღინიშნება.

იოსებ სუმბათაშვილი სხვადასხვა წლებში იყო მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მთავარი მხატვარი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი მხატვარი, გააფორმა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი“. თეატრის პარალელურად იოსებ სუმბათაშვილი ინტენსიურად მუშაობდა კინემატოგრაფიაში და შესრულებული აქვს დეკორაციის ესკიზები ცნობილი ქართული კინოფილმისათვის.

მხატვარი 97 წლის ასაკში მოსკოვში გარდაიცვალა. მისი 100 წლის იუბილე ხელოვნების სასახლეში უახლოეს დღეებში აღინიშნება. ინფორმაცია ამის შესახებ ხელოვნების სასახლის დირექტორმა გიორგი კალანდიამ გაავრცელა:

– წელს ქართველი სეზანის, იოსებ სუმბათაშვილის დაბადებიდან 100 წლის იუბილე სრულდება! ხელოვნების სასახლე გრანდიოზულ გამოფენას მოაწყობს, გამოვა სუმბათაშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი დიდი კატალოგიც. გახსოვთ პოლ სეზანის „ოქროსფერი ბორცვი“, ჰოდა თუ გახსოვთ, მაშინ დააკვირდით იოსებ სუმბათაშვილის შედევრს, ესკიზს სპექტაკლისათვის „ხარატაანთ კერა“ და მიხვდებით, რომ საქართველოს არასოდეს დაუკარგავს კავშირი დასავლურ ხელოვნებასთან და ევროპული მხატვრობის ღირებულებებთან.

# საშა ვალცი თბილისშია



მსოფლიოში ცნობილი ხელოვანი საშა ვალცი თბილისშია. პინა ბაუშის ხელოვნების გამგრძელებლად მიჩნეული შემოქმედი დედაქალაქს ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში ეწვია. ქორეოგრაფი მიხეილ თუმანიშვილის სახელობის პრიზითაც დაჯილდოვდა ხელოვნებაში სრულყოფილებისათვის.

თანამედროვეობის ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა ქორეოგრაფმა საშა ვალცმა თავის დასთან ერთად თბილისში ჩამოიტანა დადგმა „დღიური 1 რვას აკლია ოცი წუთი“. ეს არის სხეულის ენით გადმოცემული ქალის და მამაკაცის ურთიერთობის დრამატული დეტალები და მსუბუქი იუმორით გაჯერებული ამბავი. სპექტაკლში მონაწილეობენ დევიდ კამპლანი, ედივალდო ერნესტო, ტაკაკო სუზუკი, ფლორენცია ლამარსა, იაელი შნელი.

– იუმორი, აგრესია და ემოციურობა ჩემი ქორეოგრაფიული ნამუშევრის ძირითადი ელემენტებია. კონკრეტული საგნები, დეკორაცია, კინემატოგრაფიული ხერხები და მუნჯი კინოს გროტესკული მოძრაობები ჩემი ქორეოგრაფიული ენის ძირითადი შთაგონების წყარო და მამოძრავებელი ძალაა. ეს ენა ძალიან გამომსახველობითი და ემოციურად დატვირთული გახლავთ, თუმცა მაინც ტოვებს ადგილს აბსტრაქციისათვის, – ამბობს ქორეოგრაფი.

# ქართველი მწერლების ნაწარმოებები ესპანურად ითარგმნა

ქართველი მწერლების გურამ დოჩანაშვილის, ლაშა ბუღაძის, ბესიკ ხარანაულის, რეზო გაბრიაძის, ნუგზარ შატაიძის, აკა მორჩილაძის, ზაზა ბურჭულაძის, დავით დეფის, თეონა დოლენჯაშვილის, ანა კორძაია-სამადაშვილის, ზურაბ ლეჟავას, მაკა მიქელაძის, ზაალ სამადაშვილის, ნინო ტეფნაძის, დავით ქართველიშვილის, არჩილ ქიქოძის, მამუკა ხერხეულიძის, კოტე ჯანდიერის, ირაკლი ჯავახაძის ნაწარმოებები ესპანურ ენაზე ითარგმნა.

ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით და ტლაქსკალას კულტურის ინსტიტუტის მიერ მექსიკაში გამოიცა ანთოლოგია სახელწოდებით თანამედროვე ქართული ლიტერატურა.

ქართველი მწერლების ნაწარმოებების მთარგმნელები პაბლო დუარტე სანჩესი და ლანა კალანდია არიან. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ქართველი მწერლების ნაწარმოებები უცხო ენაზე ითარგმნება. ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს მსოფლიოში ცნობილ სხვადასხვა გამომცემლობებთან და კულტურის ინსტიტუტებთან, რომლებიც სხვადასხვა ენაზე თარგმნიან როგორც ქართველი კლასიკოსების, ასევე თანამედროვე შემოქმედების ნაწარმოებებს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

საზოგადოება

# იუსტიციის მინისტრთან მთავარი პროკურორის ორი კანდიდატურაა შესული – კახა კახიშვილი და ირაკლი შოთაძე



საქართველოს მთავარი პროკურორის პოსტზე ამ დროისთვის იუსტიციის მინისტრთან კახა კახიშვილისა და ირაკლი შოთაძის კანდიდატურებია შესული. ამის შესახებ მთავრობის გუშინდელ სხდომის შემდეგ ჟურნალისტებს თეა წულუკიანმა განუცხადა.

თეა წულუკიანი:

– მე კონსულტაციებისთვის ვადა მაქვს 13 ნოემბრამდე. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ უნივერსიტეტებს, საადვოკატო ბიუროებს, ადვოკატთა ასოციაციას, არასამთავრობო ორგანიზაციებს, საზოგადოების თითოეულ წევრს, რომ მომაწოდონ მათთვის საინტერსო კანდიდატურები.

ჯერ მხოლოდ ორი შემოთავაზებაა ჩემთან შემოსული, ეს არის კახა კახიშვილისა და ირაკლი შოთაძის კანდიდატურები, რომლებიც წამოსულია აკადემიური წრეებიდან და არასამთავრობო სექტორიდან, თუმცა მე ვისურვებდი, რომ უფრო მეტი კანდდიატურა შემოვიდეს.

განსაკუთრებულ აქცენტს ვაკეთებ ქალ კანდიდატურაზე, რადგან 3-პირიან სიაში, რომელიც უნდა შევადგინო, მინიმუმ ერთი უნდა იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. მისივე განმარტებით, 3-კაციან სიას 14 ნოემბერს, დილით გამოაქვეყნებს.

*ინტერპრესნიუსი*

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# აშშ-მ უკრაინული არჩევნები დადებითად შეაფასა



აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა უკრაინული არჩევნები დადებითად შეაფასა.

– მიუხედავად რუსეთის აგრესიისა და ეკონომიკური კრიზისისა, არჩევნები სათანადო დონეზე ჩატარდა, – ნათქვამია განცხადებაში.

უკრაინელმა ხალხმა თავისი ნება თავისუფლად გამოხატა და მსოფლიოს აჩვენა, რომ უკრაინა ერთიანია და ეს ერთობა მოსახლეობის უმრავლესობის სურვილია.

ამავე დროს, სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში ნათქვამია, რომ არჩევნებმა ნათლად წარმოაჩინა რეფორმების ნელი ტემპი.

უწინარეს ყოვლისა, ეს ეკონომიკურ რეფორმებს და დეცენტრალიზაციას შეეხება. იყო ხარვეზები თავად არჩევნების ორგანიზებაშიც.

*ნიკა თევზაძე*

# ასტროპროგნოზი

## 29 ოქტომბრისათვის



**ვერძი** – ნუ იაქტიურებთ, რათა ფინანსური კრახი თავიდან აიცილოთ. კეთილისმყოფელი დღეა. თქვენი სასიცოცხლო პოტენციალი საგრძნობლად იზრდება. გელით სასიხარულო ცვლილებები როგორც პირად ცხოვრებაში, ისე კარიერაში. **კურო** – კოლექტიური მუშაობა სასიკეთოდ წაგადგებათ. დღის პირველ ნახევარში ყოველგვარი კომერციული საქმიანობა გამორიცხეთ. **ტყუპები** – მატერიალური მდგომარეობა არასახარბიელოა. აქტიურობა საზიანოა. აუცილებლობის შემთხვევაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **კირჩხიბი** – ფულს შოულობთ. თქვენი შრომისმოყვარეობა და მიზანდასახულობა სათანადოდ დაფასდება. ბავშვები თქვენს ყურადღებას დღეს განსაკუთრებით ითხოვენ. **ლომი** – დღის პირველი ნახევარი კარგია ახალი ნაცნობების შეძენისა და ახალი ურთიერთობებისათვის. მიღებულმა ინფორმაციამ, შესაძლოა, თქვენს მომავალზე დადებითი გავლენა იქონიოს. **ქალწული** – პასიური დღეა. ერიდეთ საქმიან გარიგებებს. ფულის ხარჯვა რეკომენდებული არ არის. **სასწორი** – ყურადღება გაამახვილეთ სულიერებაზე. შესაძლოა, დიდი ხნის უნახავ მეგობარს შეხვდეთ, რის შედეგადაც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი სასიამოვნო ცვლილება მოხდება. **ღრიანკალი** – აქტიური და შემოქმედებითად დატვირთული დღეა. თქვენი შრომა შედეგს გამოიღებს. უცხო ადამიანების რჩევებს არ ენდოთ. **მშვილდოსანი** – იზრდება სულიერი, შემოქმედებითი და სექსუალური შესაძლებლობები. გეგმები საფუძვლიანად გეცვლებათ. სასიკეთო პერიოდი გიდგათ. **თხის რქა** – ცვლილებებისა და ტრანსფორმაციის დღეა. შესაძლოა, ძალზე წარმატებულ ადამიანებთან მოგიწიოთ თანამშრომლობა, თუმცა მთელი თქვენი ნიჭი და უნარი მხოლოდ თავდაუზოგავი შრომის წყალობით გამოვლინდება. **მერწყული** – მძიმე დღეა. იყავით თვითკრიტიკული. თავმდაბლად იმუშავეთ. **თევზები** – კრიტიკული დღეა. ფინანსებს გაუფრთხილდით. ბედი კვლავ გამოცდას გიწყობთ. თავი აარიდეთ კომერციულ საქმიანობას. გარშემომყოფებთან კამათი კატეგორიულად გეკრძალებათ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. აეროპორტი პრაღაში; 2. ალუბლის ერთ-ერთი ჯიში, იაპონიის სიმბოლო; 3. მოძღვრება მეღვინეობის შესახებ; 4. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი; 6. ქართველი ფოტოხელოვანი, ალპინისტი; 8. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 11. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 12. მზის სისტემის პლანეტა; 16. ავსტრიელი მწერალი; 17. სწრაფად გათამაშებული ჭადრაკის პარტია; 18. ხელოვნების მუზეუმი მილანში.

**თარაზულად:** 1. მოხეტიალე მომღერალი-მუსიკოსი ძველ საბერძნეთში; 5. ქართული ბანკი; 7. ქართული კონიაკი; 9. ხილის წვენებით შეზავებული ტკბილი მაწონი; 10. მხარე გერმანიაში; 13. ბრიტანული ნამცხვარი; 14. ქართველი მრეწველი, ქიმიკოსი, პოპულარული უალკოჰოლო სასმელის შემქმნელი; 15. მამაკაცის ყველაზე დაბალი სასიმღერო ხმა; 19. წყალზე მცურავი მრავალწლიანი ყვავილოვანი მცენარე; 20. დაქირავებული ტაშის დამკვრელი თეატრში, კონცერტზე; 21. ქართველი კინომსახიობი მამაკაცი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 22. პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ბეკერი; 2. პეჟო; 3. ბაღდავაძე; 4. კინტო; 5. წახნაგი; 8. ტვენტე; 9. კართაგენი; 12. კონცხი; 14. ხუდონი; 16. აშარი.

**თარაზულად**: 1. ბორისპოლი; 6. კაროლინა; 7. კორტეჟი; 9. კინდღი; 10. თორა; 11. ანანური; 13. ბახში; 15. ბორენა; 17. მეოტიდა; 18. მცხეთა; 19. ბოინგი; 20. ფილიპსი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. პლაზმა; 2. ლონდრე; 3. მუშტაიდი; 4. ალმასი; 6. კაპიტანი; 8. მდოგვი; 11. ბოტანიკა; 12. მიტარბი; 16. დანტე; 17. ფრაჟე; 18. სიგმა.

**თარაზულად**: 1. პროლოგი; 5. ტუსკი; 7. მუხთალი; 9. ზუგდიდი; 10. მარშალი; 13. ვენდეტა; 14. როდენი; 15. ჯინი; 19. კასკადი; 20. ბროსნანი; 21. ჰეინიკენი; 22. მახათი.

# სტაფილო კიბოს განვითარებას ებრძვის



სტაფილო დიდი რაოდენობით შეიცავს კაროტინს, ეს უკანასკნელი კი ძალიან სასარგებლოა მხედველობისა და იმუნური სისტემის გასაძლიერებლად.

სტაფილო უფრო მეტ სასარგებლო თვისებებს შეიძენს, თუ მას ზეთსა და არაჟანს მოასხამთ და ისე მიირთმევთ, რადგან კაროტინს ორგანიზმი მხოლოდ ცხიმთან ერთად ითვისებს.

კაროტინის გარდა, სტაფილოში ბევრი სასარგებლო ნივთიერებაა, მაგალითად, ბე ჯგუფის ვიტამინები, რომლებიც ხელს უწყობს ნერვული სისტემის, კანის, თმის გაჯანსაღებას; სტაფილო ასევე შეიცავს ვიტამინ ცე-ს, იოდს, კალიუმს, ფოსფორს, სპილენძს, მიკროელემენტებსაც და სხვა ნივთიერებებს. ვიტამინი ბე საუკეთესო საშუალებაა უძილობისა და დეპრესიის წინააღმდეგ საბრძოლველად; ბე ვიტამინი აფერხებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარებასა და დაბერების პროცესს.

მცენარეული უჯრედების დიდი რაოდენობის წყალობით, სტაფილო ორგანიზმიდან აქტიურად გამოდევნის ტოქსინებსა და წიდებს, რითაც ორგანიზმს სიმხნევეს უნარჩუნებს, კანს კი — სასიამოვნო ელფერს.

თუ გსურთ, ჯანმრთელი ღრძილები და კბილები გქონდეთ, ხშირად ჭამეთ სტაფილო. ის ასუფთავებს კბილის მინანქარს საკვები ნარჩენებისგან, ებრძვის კარიესისა და ღრძილების ანთების გამომწვევ მიკრობებს.

გაციებისა და ყელის ტკივილის დროს კარგია ახალგამოწურული სტაფილოს წვენის ყელში გამოვლება. სტაფილოს წვენი თაფლთან ერთად კარგია ხველების დროს, რძესთან ერთად კი ბრონქული ასთმის შეტევებს ასუსტებს.

უმი სტაფილო ძალიან სასარგებლოა თირკმელების, ღვიძლის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს. გახეხილი სტაფილოს ფაფას დამწვრობისა და იარების სამკურნალოდ უძველესი დროიდან გამოიყენებდნენ, გაუხეშებულ კანზე კი კვერცხის გულთან გაზავებული წაისვით.

ასევე, სტაფილო ებრძვის კიბოს განვითარებას. ამიტომ, ის, ვინც სტაფილოს რეგულარულად მიირთმევს, ზედმეტ საშიშროებებს აირიდებს თავიდან.

### ჭინჭარი სისხლძარღვებს წმენდს

სისხლძარღვების კედლებს ასუფთავებს და ამაგრებს ჟოლოს ფოთლები, წითელი სამყურა, ბაბუაწვერას ძირები, მოცხარის ფოთლები, ოროვანდი, პიტნა, ვერხვის ფესვები, ნიახური, ბარისპირა, ნიორი და სხვა მცენარეები.

თანაბარი რაოდენობით აურიეთ ერთმანეთში არყის ხის, ჟოლოს, ბაბუაწვერასა და მოცხარის ფოთლები, დაამატეთ ცოტა შვიტა და ბარისპირა.

1 სადილის კოვზ ნარევს დაასხით ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, დადგით წყლის ორთქლზე დაახლოებით ნახევარი საათით. შემდეგ გადმოდგით და ერთი საათი თავდახურულ ჭურჭელში გააჩერეთ. სვით მეოთხედი ჭიქა, დღეში 3-ჯერ, ჭამის შემდეგ, ერთი თვის განმავლობაში.

2 სადილის კოვზ ბაბუაწვერას დაქუცმაცებულ ფესვს დაასხით ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და გააჩერეთ დაახლოებით ერთი საათით. დალიეთ 1 სადილის კოვზი, დღეში 4-ჯერ, ჭამამდე.

სისხლი უზრუნველყოფს ორგანიზმის თითოეულ ორგანოს იმ ენერგიით, რომელზეც ჩვენი ჯანმრთელობაა დამოკიდებული.



ტოქსინებისგან სისხლის გაწმენდაც ამიტომ არის აუცილებელი, რაშიც თავშავა, მარწყვის ფოთლები, ჭინჭარი, ოროვანდი, აბზინდა, შვიტა, კრაზანა, მრავალძარღვა, ფარსმანდუკი და კულმუხო დაგეხმარებათ.

მედიცინა



1 ჩაის კოვზ ჭინჭრის გამხმარ ფოთლებს დაასხით ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, ერთი საათით გააჩერეთ თავდახურულ ჭურჭელში და შემდეგ გაფილტრეთ. მიიღეთ მესამედი ჩაის ჭიქა, დღეში 3-ჯერ, ორი კვირის განმავლობაში.

ძლიერი იმუნური სისტემა რომ გქონდეთ და ინფექციური დაავადებებისგან დაიცვათ თავი, აიღეთ 50 გრამი გამხმარი კულმუხოს ფესვი და დაასხით ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, ადუღეთ დაახლოებით 15 წუთს. შემდეგ გადაწურეთ, დაამატეთ ნახევარი ჩაის ჭიქა ხილის ნატურალური წვენი და 50 გრამი თაფლი ან შაქარი. მიიღეთ მესამედი ჩაის ჭიქა, ჭამის შემდეგ.

გახეხეთ 500 გრამი ნიორი და აურიეთ 10 ცალ ლიმონის გამოწურულ წვენში. ყოველდღიურად მიიღეთ მესამედ ჩაის ჭიქა გადადუღებულ წყალში გახსნილი ერთი ჩაის კოვზი ნარევი. ასე გაიუმჯობესებთ თქვენი ორგანიზმის საერთო მდგომარეობას და ინფექციური დაავადებებისგანაც დაიცავთ თავს.

## TV პროგრამა

### ხუთშაბათი 29 ოქტომბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 ტ/სერ. "**ანგელოზის სახე**" 11.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 12.30 "კომუნიკატორი" 13.30 დ/ფ "არქიტექტურა" 14.05 მხ/ფ "**გულის მოგზაურობა**" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ნიკიტა**" 18.05 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 18.30, 19.01 თოქ – შოუ "რეალური სივრცე" 19.30 "ტელებლოგი" 21.00 ტ/სერ. "**ბეითსების მოტელი**" 22.00 მხ/ფ "**ბორნის ულტიმატუმი**" (მ.დეიმონი) 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**მძარცველები**"

08.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 დ/ფ "ეფლი" 10.00 "გეოფაქტორი" 10.10 დ/ფ "გაზაფხული დაკვირვების ქვეშ" 11.00 დ/ფ "ჩირლიდერები" 12.00 მხ/ფ "**ლამაზი ანტონიო**" 3-4 სერ. 14.00, 22.00 ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" 16.00 დ/ფ "ჯონ სფარის ნახატები" 18.00 დ/ფ "იაპონია: იმპერატორი და ჯარი" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 23.00 "ნამდვილი დრო" 23.30 მხ/ფ "**სულიერი სამზარეულო**"

06.00 სერ. "**კარმა**" 06.30 სერ. "**ზოშა ქალი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.50 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**გზაჯვარედინი**" 11.20 სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" 12.30 დღის შოუ 14.40, 15.55 სერ. "**ორი ბედი**" 17.35 სერ. "**საიდუმლო**" 18.45, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად 00.00 ერთხელ საქართველოში 00.30 მხ/ფ "**მელიებზე მონადირე**" (ჩ.ტატუმი) 03.00 ერთხელ საქართველოში

07.00, 15.40 სერ. "**ლამაზი სიზმარი**" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. "**მოჯადოებულები**" 18.55 სერ. "**სტამბოლის ცა**" 19.55 სერ. "**ქარადაი**" 22.00 პროფილი 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი

06.15 ჩვენი ფონდი 06.40 პატერიკი 06.50 დეკორატიული ფლორა "დუმფარა" 07.05 ქართული ალბომი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 სიბრძნისმეტყველება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ერთსულოვნების სალონი 11.30 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ "**წისქვილი ქალაქის გარეუბანში**" 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.30 დეკორატიული ფლორა "კვიპაროსი" 15.05 ივერიის ეკლესია 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.40 საყმაწვილო ენციკლოპედია 16.10 დ/ფ "13 ასურელი მამა" 16.55 დიდ ხარ შენ უფალო-მოციქულები 17.35 ჩვენი ფონდი 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 პორტრეტები 20.00 ქართული ხმები-ათძალი (ხელვაჩაური) 20.40 ძილი ნებისა "დედებს შვილები იესოსთან მიჰყავთ" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ლექციები მეფუტკრეობაზე 22.25 სალბუნი "სისხლის განხილვა" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დ/ფ 01.25 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "დრაკონებზე მონადირენი" (ჟესტიკულაციით) 7.55 გადაცემა "საქმიანი დილა" 10.05 **სერიალი "სხვისი სხეული"** 11.05 **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.30 გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 16.05, 17.05 **სერიალი "ტატიანა"** 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 **სერიალი "ნადირობა"** 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 ქართული **სერიალი "ჩვენ გვერდით"** 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 23.00 **სერიალი "ჩემი საყვარელი და"** 1.30 **სერიალი "ტატიანა"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

## კენჭებისგან ჭარხალი დაგიცავთ, სიბრმავისგან — ვიტამინები, კბილის ტკივილს სალბი დაგიამებთ

კუჭ-ნაწლავის ტრაქტში კენჭების დაგროვებისგან დაგიცავთ ჭარხლის სიროფის ხანგრძლივი მიღება. ეს არა მხოლოდ პროფილაქტიკური საშუალებაა, არამედ გარკვეულწილად მას შეუძლია, უკვე დაგროვილი ქვების დაშლა და ორგანიზმიდან გამოდევნა.

სიროფი ასე მზადდება: გათალეთ რამდენიმე წითელი ფერის ჭარხალი, კარგად გარეცხეთ და მოხარშეთ. ხარშეთ მანამდე, სანამ ერთგვაროვან მასად არ იქცევა. შემდეგ გაწურეთ და სვით დღეში ორი ჭიქა, ჭამის წინ ან ჭამის შემდეგ.



* * *

ცე და ბე ვიტამინების შემადგენლობის პრეპარატების რეგულარულად მიღება, თვალის დაავადების რისკს საგრძნობლად ამცირებს. გარდა ამისა, კვებით რაციონში ყოველდღიურად აუცილებლად ჩართეთ სტაფილო, კომბოსტო, სატაცური, ისპანახი, საქონლის ღვიძლი, თევზეული. ასევე, მნიშვნელოვანია სრულფასოვანი ღამის ძილი.

* * *

თუ კბილი აგტკივდათ, მაგრამ კბილის ექიმთან წასვლას ვერ ახერხებთ, აიღეთ სალბი, ხარშეთ დაახლოებით, ხუთი წუთის განმავლობაში, შემდეგ ჩაიგუბეთ პირში ნახარში, ისეთი ცხელი, რასაც გაუძლებთ და მანამდე გაიჩერეთ, სანამ არ გაცივდება.პროცედურა იმდენჯერ გაიმეორეთ, სანამ კბილის ტკივილი არ გაგივლით. შედეგს კი დაახლოებით 10-15 წუთში იგრძნობთ.

2. 1 ს/კ დაქუცმაცებულ მუხის ქერქს დაასხით 1,5 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, 15-20 წუთი გააჩერეთ წყლის ორთქლზე; გააგრილეთ და გამოივლეთ.

3. ყინულის ნატეხი გაახვიეთ ქსოვილში და დაიდეთ ლოყაზე რამდენიმე წუთით. სიცივე ავიწროებს სისხლძარღვებს და ტკივილი ყუჩდება.

4. არ შეიძლება მტკივნეულ კბილზე სპირტიან ხსნარში ან ეთილის სპირტში დასველებული ბამბის ტამპონის დადება — ეს გამოიწვევს ღრძილების დამწვრობას.

### თუ მარილები დაგიგროვდათ

— 25 გ კოწახურის ქერქს დაასხით 100 მლ 70%-იანი სპირტი. გააჩერეთ 10 დღე ბნელ ადგილას. მიიღეთ 30 წვეთი 3-ჯერ დღეში. ფეხმძიმეებმა ეს ნაყენი არ უნდა გამოიყენონ.

— 1ჩ/ჭ დაქუცმაცებულ წითელი მოცვის ფოთლებს დაასხით 1,5 ჭიქა მდუღარე წყალი. შეფუთეთ, 1 საათი გააჩერეთ და გაფილტრეთ. მიიღეთ 1-2 ჭიქა 3-4-ჯერ დღეში ჭამამდე. მარილებს შველის ასევე ნედლი მოცვი ან მოცვის მურაბა.

## მკურნალი მცენამა

## რამდენიმე რჩევა სამკურნალო ბალახებისგან წამლების დამზადების წინ

ნუ გამოიყენებთ ბალახს, რომელიც რამდენიმე წელია გიდევთ!

ნუ შეურევთ ერთ ჭურჭელში ერთბაშად ბევრ ბალახს!

ნუ აადუღებთ ბალახს ალუმინის, სპილენძის, თუნუქის ჭურჭელში. ამისათვის გამოიყენეთ ქაშანურის ან მინის ჭურჭელი!

ნუ მოამზადებთ ერთბაშად დიდი რაოდენობით ნახარშს. გაიანგარიშეთ რამდენი დაგჭირდებათ დღე-ღამის განმავლობაში და იმ რაოდენობის წამალი მოიმზადეთ!

ნუ ადუღებთ ბალახს დიდხანს, ნაყენი გააციეთ და ისე გაწურეთ!

ნუ დალევთ ცივ ნაყენს. თბილი უფრო დიდ ეფექტს იძლევა!

ნაყენის მოსადუღებლად ბალახებს ადუღებული წყალი დაასხით და დააყენეთ მჭიდროდ დახურულ ჭურჭელში განსაზღვრული დროით!

ნაყენი სვით იმდენხანს, რამდენიც რეკომენდებულია. შეწყვეტის შემთხვევაში წამლის ეფექტი სრულიად იკარგება.

***

### სამკურნალო მცენარეების უკუჩვენებები

**ალოე** — უკუჩვენება აქვს თირკმელებისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებების, საშვილოსნოდან სისხლდენის, ბუასილის, ცისტიტისა და ორსულობის დროს.

ჩვეულებრივი ანისული — შეიძლება გამოიწვიოს ფიტოდერმატიტი, კონტაქტური დერმატიტი.

**კატაბალახა** — მისი ხანგრძლივი გამოყენება დიდი დოზით დაუშვებელია, ასეთ დროს მას დამთრგუნველი ქმედება აქვს. იწვევს თავის ტკივილს, პირღებინებას და არღვევს გულის მუშაობის რიტმს.

**არყის ხის კვირტები** — აღიზიანებს თირკმელებს, ამიტომ ექიმის კონტროლის გარეშე მისი ნაყენის სმა, როგორც შარდმდენი საშუალების, დაუშვებელია.

ბროწეულის ნაყოფის წვენი — აუცილებლად წყალნარევი უნდა მიირთვათ, რადგან ის შეიცავს ბევრ მჟავას, რომელიც კუჭს აღიზიანებს და შლის კბილის მინანქარს.

**ბროწეულის ქერქის** ნაყენიც საფრთხილოა, რადგან მისმა გადამეტებულმა დოზამ შეიძლება თავბრუსხვევა, მხედველობის გაუარესება და კრუნჩხვები გამოიწვიოს.

**სურნელა** — მიღება დაუშვებელია ორსულობის პერიოდში, რადგან იგი იწვევს ნაყოფის მოცილებას.

**ჟენშენი**— წამლები უნდა დამზადდეს წელიწადის ცივ დროს. დიდი დოზა და ხანგრძლივი მიღება იწვევს უძილობას, თავისა და გულის ტკივილს, პოტენციის დაქვეითებას.



**ძახველი** — იმის გამო, რომ ეს მცენარე შეიცავს პურინების გადამეტებულ რაოდენობას, მისი დიდი დოზით მიღება დაუშვებელია ნიკრისის ქარისა და თირკმელების დაავადების დროს.

## შინაური აფთიაქი



### კაკალი

კაკლის გული 54 74% ზეთს, 12 21 % ცილოვან ნივთიერებებს ვიტამინ ბე და პროვიტამინ ბე შეიცავს.

კაკალი საქართველოში ოდითგანვე საკულტო ხედ ითვლებოდა. ახალგაზრდა მწვანე ნაყოფი მდიდარია ასკორბინის მჟავით და კაროტინით.

ფოთლებისა და წენგოს ნახარშს ხალხურ მედიცინაში კუჭისა და გინეკოლოგიური დაავადებების, თირკმელებისა და საშარდე ბუშტის, სტომატიტისა და ანგინის სამკურნალოდ ხმარობენ. სვამენ ნივთიერებათა ცვლის გასაუმჯობესებლად და ორგანიზმის გასამაგრებლად, ავიტამინოზის დროს. წენგოს ფხვნილი სისხლდენის შემაჩერებელია. წენგოსგან კეთდებოდა პრეპარატი „იუგლონი“ კანის ტუბერკულოზის სამკურნალოდ. იაპონიის ერთ ერთი ფირმა კაკლის დაფხვნილ ნაჭუჭს ცვეთისადმი დიდი გამძლეობის სამუხრუჭე მასალის წარმოებაში იყენებს.

ფოთლების ჩაის — 50 გ 1 ლიტრ წყალზე — სვამენ კანისნაირგვარი დაავადებების, ვენერიული სნეულებების, მრგვალი ჭიების წინააღმდეგ და კუჭნაწლავის კატარის სამკურნალოდ.

აღნიშნავენ, რომ დიაბეტიკს შაქრის შემცველობას უმცირებს შარდში. ბულგარეთში კაკლის ფოთლებს იყენებენ ღრძილებისა და ლიმფური ჯირკვლების გასტროენტერიტის, კუჭაშლილობის დროს. დასალევად გამოიყენებენ: ერთი სუფრის კოვზ წვრილად დაჭრილ კაკლის ფოთოლს ასხამენ ერთ ჩაის ჭიქა მდუღარე წყალს.



# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


29 ოქტომბრისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.4067

ევრო — 2.6563

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6902

100 რუსული რუბლი — 3.8575

**ამინდის პროგნოზი 29 ოქტომბრისთვის**




## ანუკი არეშიძემ მაღაზიები რუსეთში გახსნა



ახალგაზრდა დიზაინერმა ანუკი არეშიძემ საქართველოს ფარგლებს გარეთ გადაწყვიტა საკუთარი პროდუქციის რეალიზება და რუსეთში მაღაზიები გახსნა. ამიერიდან კახი კალაძის მეუღლე ახალ კოლექციებს მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში გაყიდის.

ანუკიმ მოდელობას თავის მეუღლის თხოვნით დაანება და დიზაინერობა დაიწყო. ახალბედა დიზაინერი ბიჭოლა თეთრაძესთან ერთად მუშაობდა, აქტიურად აწყობდა ჩვენებებს უკრაინაში და დიდი პოპულარობითაც სარგებლობდა. თუმცა ტანდემმა დიდხანს ვერ გასტანა და დუეტი დაიშალა. ანუკი თბილისში წამოვიდა, ბიჭოლა კი უკრაინაში დარჩა და დღემდე იქ მოღვაწეობს.

ანუკიმ დიზაინერობა ტანსაცმლის ხაზით დაიწყო, შემდეგ კი ფეხსაცმლის ხაზიც დაუმატა და ახლა უკვე აქსესუარებსაც ქმნის. მისი ბუტიკი თბილისში ამჟამად დაკეტილია და ნოემბრის ბოლოს გაიხსნება.

მომავალი წლის გაზაფხული-ზაფხულის უახლესი კოლექციის ჩვენება ანუკიმ პარიზში მოაწყო, სადაც ერთ-ერთ შოურუმში მიიღო მონაწილეობა. ევროპის პარალელურად, დიზაინერი არც ჩრდილოელ მეზობელს ივიწყებს და რუსეთის ორ ქალაქში კუთვნილი მაღაზიები უკვე აქვს. აპირებს თუ არა ქსელის გაფართოებას დიზაინერი, ამ ეტაპზე უცნობია.

## ელისო ბოლქვაძის გაჩუქებულ სახლში სასკოლო მზაობის ცენტრი გაიხსნა



ეკა ირემაშვილი

იუნესკოს მშვიდობის არტისტმა ელისო ბოლქვაძემ მამისეული სახლი გააჩუქა. ჩოხატაურის რაიონის სოფელ გუთურში მწერლისა და იუმორისტის ზაურ ბოლქვაძის სახლი პიანისტმა შემოდგომაზე საჩუქრად სოფელს გადასცა.

პიანისტს სურდა, რომ აქ მოწყობილიყო ზაურ ბოლქვაძის სახლ-მუზეუმი, სადაც ახალგაზრდობას შემოქმედებითი საღამოების ჩატარების საშუალება ექნებოდა, ყოველწლიურად, ზაფხულში კი ელისო ბოლქვაძე მამისეულ სახლში კონცერტებს თვითონაც გამართავდა.

ადგილობრივი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ელისო ბოლქვაძის მამისეულ სახლში სასკოლო მზაობის ცენტრი გაიხსნა, რომელიც 5-6 წლის ბავშვებს სპეციალური პროგრამით სასკოლოდ მოამზადებს:

– მსოფლიოში ცნობილმა მუსიკოსმა ქალბატონმა ელისო ბოლქვაძემ, თავისი მამისეული დაგვითმო, სადაც დროებით განთავსდა სასკოლო მზაობის ცენტრი, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ, – ნათქვამია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

## „იავნანა“ ნიჭიერ სტუდენტებს დაეხმარება




პაატა ბურჭულაძის მიერ დაარსებულმა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა „იავნანა“ გადაწყვიტა კიდევ ერთი საქველმოქმედო საღამო ჩაატაროს და ნიჭიერ სტუდენტებს სწავლის საფასურის გადახდაში დაეხმაროს.

ეს სასიხარულო ინფორმაცია ფონდის სამხატვრო ხელმძღვანელმა თეონა ჯორბენაძემ გაავრცელა:

– ფონდმა „იავნანა“ და „საქართველოს ლატარიის კომპანიამ“ კონსერვატორიის მცირე დარბაზში ერთობლივი საქველმოქმედო აქცია დაგეგმეს. კონცერტში სახელწოდებით „იავნანას სალონი“ მონაწილეობა მიიღეს ფონდის სტიპენდიანტებმა და იმ ახალგაზრდებმა, რომელთაც სხვადასხვა დროს ნაწილობრივ დაუფინანსდათ სწავლის საფასური და ბევრი მათგანი დღეს წარმატებით გამოდის მსოფლიოს პირველი კლასის თეატრების სცენაზე.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## მასკერანო კლასიკოში ითამაშებს



ბარსელონას არგენტინელი უნივერსალი ხავიერ მასკერანო კატალონიური გუნდის მომდევნო 2 მატჩს გამოტოვებს. ამის მიზეზი სადისციპლინო კომიტეტის მიერ მისთვის მიცემული დისკვალიფიკაციაა.

პრიმერას გასულ ტურში, ეიბართან გამართული მატჩის დროს, მასკერანო მოედნიდან გვერდითი არბიტრისთვის შეურაცხყოფის მიყენების გამო გააძევეს. არგენტინელმა განმარტა, რომ ის სიტყვები, რომელიც მან წარმოთქვა, მის სამშობლოში მიღებულია და გარდა ამისა, ისინი არბიტრისკენ მიმართული არ იყო.

სადისციპლინო კომიტეტმა ეს გარემოება გაითვალისწინა და 31 წლის ფეხბურთელს სასჯელის მინიმალური ოდენობა, 2-მატჩიანი დისკვალიფიკაცია განუსაზღვრა. ეს ნიშნავს, რომ არგენტინელი გუშინ ესპანეთის თასზე ერთ მატჩს გამოტოვებდა და პრიმერას მომდევნო ტურში ხეტაფეს წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. სამაგიეროდ, მასკერანო რეაბილიტირებული შეხვდება ელ კლასიკოს და რეალთან ითამაშებს.

**მ. ჟ.**

## მირჩა ლუჩესკუმ არაბიძე შეაქო



ბოლო რამდენიმე დღეა, ქართული საფეხბურთო სამყაროს ყურადღება დონეცკის შახტარის ქართველ ლეგიონერზე გიორგი არაბიძეზეა მიპყრობილი.

ბევრი მას დიდ საფეხბურთო მომავალს უწინასწარმეტყველებს. არაბიძეზე შახტარის მთავარმა მწვრთნელმა მირჩა ლუჩესკუმაც ისაუბრა და თქვა, რომ გიორგი ნიჭიერი ფეხბურთელია და ვარჯიში უყვარს.

– არაბიძე ნიჭიერია და მას შეუძლია მომავალში წარმატებას მიაღწიოს, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ საკუთარ თავზე მუშაობას გააგრძელებს.

ლუჩესკუმ ეს განცხადება ტერნოპოლთან თამაშის შემდეგ გააკეთა, რომელშიც არაბიძემ მოედანზე 90 წუთი დაჰყო.

**ბექა გოგინაშვილი**

## რეალი ლესტერის ფეხბურთელით დაინტერესდა



ლესტერის თავდამსხმელი ჯეიმი ვარდი ბოლო პერიოდში ძალიან კარგად თამაშობს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მას ინგლისის პრემიერლიგაში 10 გოლი აქვს გატანილი, რაზეც ნებისმიერი ფორვარდი იოცნებებდა.

ვარდი უკვე 28 წლისაა, მაგრამ აქამდე მასზე არავინ არაფერი იცოდა.

ვარდის თამაშით უცხოური კლუბებიც დაინტერესდნენ, მათ შორის არის მადრიდის რეალიც, რომელიც ლესტერის ფეხბურთელის შეძენაზე სერიოზულად ფიქრობს.

ასეთი ინფორმაცია ვრცელდება ინგლისურ პრესაში, მაგრამ თვითონ რეალის წარმომადგენლებს ამის შესახებ განცხადება ჯერ არ გაუკეთებიათ.

**ბექა გოგინაშვილი**

## იუმორი



რესტორანში კლიენტი ოფიციანტს ეუბნება:

– რა არის ეს? ამ თევზს ნამეტანი ცუდი სუნი უდის. გუშინწინ უფრო კაი თევზი გქონდათ.

– ცოლ-შვილს გეფიცები, ისევ ის თევზია.

●●●

კაცი თანასოფლელს ეუბნება:

– შენმა ბიჭმა, ჩემი ქალიშვილი მოიტაცა და უნდა ვიჩივლო.

– მერე, შე კაცო, კიდევ შენ ჩივი?

●●●

ორნი ბირჟაზე დგანან. ამ დროს ზანგი ჩამოივლის. ერთი მეორეს ეუბნება:

– მოდი, ამ ზანგს შარვალი ჩავხადოთ.

– რატომ?

– მაინტერესებს, სირცხვილისგან რა ფრად გაწითლდება.

●●●

კაცი ექიმთან მივა. ექიმი ეკითხება:

– რა გაწუხებთ?

– ექიმო, ცოლი ჩემთან აღარ წვება.

– რა ქენი იცი? სახლში შეხვალ თუ არა, გაშიშვლდი და ცოლს ეძგერე, უეჭველად დაგნებდება.

მეორე დღეს კაცი ისევ მივა ექიმთან.

– აბა, როგორაა საქმე? – ეკითხება ექიმი.

– ცოლს ძალიან შეეშინდა ექიმო, სამაგიეროდ, ბავშვები დაწყდნენ სიცილით.

●●●

შვილი მამას ეკითხება:

– მამა, ჯადოქრები ხომ არ არსებობენ?

კაცმა სიდედრს გადახედა და ბავშვს უპასუხა:

– შენხელა რომ ვიყავი, მეც მასე მეგონა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

●●●

წარწერა მამაკაცების ტუალეტზე:

„თქვენი მომავალი თქვენს ხელშია“.

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ისეთი რა შევჭამო, წონაში რომ დავიკლო?

– მაცივარში შეიხედე და რასაც ნახავ, ის შეჭამე.

ცოტა ხანში ცოლი ეუბნება:

– შევიხედე და მაცივარში არაფერია.

– ჰოდა, აბა მე რა გითხარი?!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მტვირთავი მუშა ნავსადგურში; 2. პარაზიტი, მკბენარა მწერი; 3. რაიმე ამოცანის ამოსახსნელად საჭირო მათემატიკურ მოქმედებათა ერთობლიობა; 4. ბალახოვანი მცენარე, რომლის ფესვებისგან იღებენ წითელ საღებავს; 5. პურეული მცენარე; 8. უხარისხო მატყლისგან მოთელილი ნაბადი; 9. ფარისეველი, ქლესა, ცბიერი ადამიანი; 12. ლომების ჯოგი; 14. ოპერა „სეველიელი დალაქის“ კომპოზიტორი; 16. ფულის ერთეული ჩინეთში.

**თარაზულად:** 1. ავეჯის გადასაკრავად გამოყენებული ხელოვნური ტყავი; 6. ტროპიკულ წყლებში ბინადარი დიდი ფრინველი; 7. ოქროსფერში ამოვლებული ძაფი; 9. ინდოელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 10. კულინარიასა და მედიცინაში გამოყენებული ორნახშირმჟავა ნატრიუმის ნაერთის საყოფაცხოვრებო სახელწოდება; 11. სასუნთქი თამბაქო; 13. შვეიცარიის დედაქალაქი; 15. კლავიშებიანი, მილების სისტემის მქონე დიდი ზომის მუსიკალური ინსტრუმენტი; 17. საკუთარი ქცევის ავკარგიანობის შინაგანი შეფასება; 18. ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა; 19. წინასწარ აღებული მისაღები თანხის ნაწილი; 20. სკანდინავიელი მეომარი მეზღვაური.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

